სახალხო გაზეთი

№ 503 ხუთშაბათი, 19 იანვარი 1912 წ. № 503

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა"-ში, მუხრანის ქუჩა, და ღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკაი ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი"-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთ [illegible]

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება, დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები [illegible] თვით მხოლოდ დიდი წერილები და [illegible] პარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი, სასახლის ქუჩა, სახლი სარაჯიშვილისა.

ფოსტის ადრესი: წერილებისთვის და ფულისათვის Тифлисъ, газ. Сахалхо газети, п. ящ. 190.

ცალკე ნომერი ყველგან ერთ შაურად.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო

სახალხო გაზეთი

მიიღება ხელის-მოწერა 1912 წლისათვის.

სურათებიანი დამატებით.

(კვირაობით)

პრემიად 1912 წლის ხელის მომწერთ მიეცემათ გრდემლი

ქართულ სიტყვა-კაზმულ საზოგადოების კრებულის პირველი ტომი, რომელიც „სახალხო გაზეთის" რედაქციამ სრულ საკუთრებად შეიძინა.

კრებული „გრდემლი" დაახლოვებით 500 გვერდიანი იქნება, იბეჭდება და ხელის-მომწერთ **იანვარშივე დაურიგდება.**

გაზეთის ფასი წელიწადში 8 მ. და 50 კ. ცალკე № შაურად. დამატებიანი 7 კაპ.

12 თ.	11 თ.	10 თ.	9 თ.	8 თ.	7 თ.	6 თ.	5 თ.	4 თ.	3 თ.	2 თ.	1 თ.
8.50	8.	7.50	6.75	6.	5.25	4.50	3.75	3.	2.25	1.50	.75

საზღვარ-გარედ თვეში ზედ-მეტი 25 კაპ.

ადრესის გამოსაცვლელი ფასი ტფილისისა ტფილისს გარედ, ან ტფილისის გარეთისა ისევ ტფილისის გარეთისაზე 40 კაპ.

დანარჩენ შემთხვევებში უფასო.

ექვსი შაური უნდა გადიხადოს კიდევ იმ ხელის მომწერმა, რომელსაც სურს კრებული „გრდემლი" მიიღოს ფოსტით. ქუთაისისა, ბათომისა, სოხუმისა, ფოთისა, გორისა და თელავის ხელის მომწერნი მიიღებენ პრემიას ადგილობრივ აგენტთაგან.

წლიურ ხელის მომწერთ გაზეთის ფასი 8 მან. 50 კაპ. შეუძლიანთ გადაიხადონ ნაწილობით

მხოლოდ შემდეგ ვადებზე უნდა იყოს გადახდილი: ხელის მოწერისათანავე 3 მ.; 1 მარტამდის 2 მ.; 1 მაისამდე 2 მ. და დანარჩენი 1 მ. 50 კ. 1 ივლისამდე.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის 1 რიცხვიდან, მხოლოდ სრული თვეებით და არა უმეტეს 1912 წლის გასულისა.

შაბათს, 21 იანვარს, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში, დანიშნულია ორმოცის წირვა და პანაშვიდი განსვენებულ

თავ. არჩილ დიმიტრის ძე ვახვახიშვილის

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ განსვენებულის **დედა კნეინა თამარ ალექსანდრეს ასული და მეუღლე ელენე ლევის ასული ვახვახიშვილნი.** ქვაშვეთის ეკლესიაში პანაშვიდი დანიშნულია ნაშუადღევის 1 საათზე, ხოლო **თელავის** საკათედრო ტაძარში წირვა დაიწყება დილის 10 საათზე, პანაშვიდი წირვის შემდეგ. (1—189—1)

ტელეფ. № 795. ქართული თეატრი **ტელეფ. № 795.**

1912 წ. 19 იანვარს, ქართულ დრამატიულ დასის მიერ **ვლ. ალექსი-მესხიშვილის** მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება

ჰამლეტი,

5 მოქ. ვ. შექსპირისა.

ფასები ჩვეულებრივია.

ჰამლეტის როლს შეასრულებს ვლ. მესხიშვილი. დაწვრილებით პროგრამაში. **დასაწყისი საღამოს 8 საათზე.**

რეჟისორი მესხიშვილი. (3—184—3).

ქართული თეატრი

შაბათს, 28 იანვარს

ქართული დრამ. საზოგადოების თანხის გასაძლიერებლად

წარმოდგენილი იქნება

ელენე თარხნიშვილის, ივანე სარაჯიშვილის და ბ-ნი ბროჯის მონაწილეობით

ნიკ. ქართველიშვილის ლოტბარობით

ვერდის ოპერა რიგოლეტო

ბილეთები ამ თავითვე იყიდება კასაში. (4—188—1)

იბეჭდება და თებერვლის დამლევს გამოვა

აკაკი-ს

თხზულების პირველი წიგნი,

რომელშიაც მოთავსებული იქნება **ახალი** ნაწარმოები ჯერ დაუბეჭდავ და აგრეთვე **ძველიც**, ზოგიერთის შენიშვნებითა და განმარტებით. წინასწარის ხელის მოწერით წიგნი ღირება **ათ შაურად.**

ხელის-მოწერა შეიძლება ტფილისს:—წერა-კითხვის გამ. საზ. და „ცოდნა"-ს წიგნ. მაღაზიაში; ქუთაისს:—„კოლხიდის" რედაქციაში, მთავრიშვილის წიგნის მაღაზ. და კანტ. „იმერეთში". ბათომს ნ. ა. საბაშვილთან; ფოთს—ი. კოხრეიძესთან; ყვირილას—წიგნის მაღაზიებში. (თ. 1044.4)

მიიღება ხელის მოწერა ამა წლის 25 იანვრიდან 25 თებერვლამდე ორიგინალურ თხზულებაზე

«როსკიპი»

რომანი ორ ნაწილად თანამედროვე ცხოვრებიდან დაახლოვებით 360 გვ. **დ. კასრაძისა.** ფასი ხელისმომწერთათვის 70 კაპ. წიგნი ხელის მომწერლებს დაურიგდებათ მარტის დამლევს უსათუოდ. ხელის მოწერა მიიღება: „ზაკავკაზსკაია რეჩის" რედაქციაში ერასტი გორდელაძესთან და მოსკოვის ქ. სტამბა ლოსაბერიძისა დ. ნაკაიძესთან. გამომცემელი ასოთ-ამწყობთა ამხანაგობა **„სხივი".** ფულის გამოგზავნა და წიგნების დაკვეთა ამ ადრესით: Тифлисъ, „Закавказская Рѣчь" Э. Д. Гордезадзе. აგენტებს დაეთმობათ 20%. (3—1061—1)

მიიღება ხელის მოწერა 20 დეკემბრიდან 20 თებერვლამდე.

დ. უზნაძის წიგნზე

ექსპერიმენტალური პედაგოგიკა

(შესავალი)

წიგნი მოგვითხრობს ბავშვის ფსიხოლოგიის ისტორიას და ახასიათებს ყველა მნიშვნელოვან ფსიხოლოგიურ სფერას: ყურადღებას, ინტერესს, დაღლილობის პრობლემას, მეხსიერებას და სხვ. ხელის მოწერა მიიღება ქუთაისში: „კოლხიდის" რედაქციაში და მთავრიშვილის წიგნის მაღაზიაში და კანტ. „იმერეთში". თბილისში: „სახალხო გაზეთის" რედაქციაში.

(20—1655—2) **ფასი ხელისმომწერთათვის ორი აბაზი.**

ტფილისის კერძო სამკურნალო

ქსენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, ვეტცელის სასტუმროს და მიხეილის პროსპექტ. ახლო

ტელეფონი № 590.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

მწოლიარე ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი სპეციალისტი-ექიმები:

შინაგანი ავადმყოფ.	**ღამბაშიძე ვ. დ.** (ყოველ დღე, გარდა კვირისა). 11½—12 საათ. **დავითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2. **ქიქოძე ტ. ს.** (ორშაბათ. და ოთხშაბ.) 9—10. **მაღალაშვილი გ. გ.** (ორშაბ., სამშაბ. და შაბათობით) 10—12. **მანსვეტაშვილი ვ. მ.** (ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ.) 2—3. **მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1. **ფედოროვი ე. გ.** (ყოველ დღე, გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.
სადოსტაქრო (ქირურგიული)	**მარკევიჩი ვ. ლ.** კონსულტატი (ორშაბ., ოთხშ. და პარასკ.) 11½—12½. **მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1. **ფირადოვი რ. ბ.** (ყოველ დღე) 12—1.
საშობიარო, ქალ. სნეულებანი	ექიმი-ქალი **ვერბიცკი-ფირადოვისა ლ.** (ყოველ დღე) 11—12. **მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1. **სულაკოვი ა. ი.** (ყოველ დღე) 12—1. **თიკანაძე ი. ე.** (ყოველ დღე) 1—2.
ბავშვის ავადმყოფ.	**ღამბაშიძე ვ. დ.** (ყოველ დღ. კვირ. გარდა), 11½—12 ს. **მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1. **ფედოროვი ე. გ** (ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.
ნერვ. სულ. ავადმ.	**გედევანიშვილი მ. ა.** (შაბათობით) 10½—11. **დავითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2.
ყურ. ყელ. ცხვ. ავ.	**ათენიანცი ნ. ა.** (ყოველ დღე) 1—2. [illegible] 2½—3.
თვალის ავ.	**მუსხელიშვილი ვ. ს.** (ორშაბათობით, ოთხშაბ. და პარასკ.) 2—2½.
კან. ვენ. ავ.	**მზარეულიშვილი მ. ი.** (ყოველ დღე) 1—1½.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. Wassermann-რჩევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მან. ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია; **„606" წამლის** შეშხაპუნება. ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათიანი საფასურით. (წ.—1010—248)

დოქტორი მედიცინისა ბერლინის უნივერს. **გ. გ. მეგრაბიანცი**

წამლობა ჭლექისა ფილტვებისა, ძვლებისა, და სხვა ორგანოთა ტუბერკულინ

შინაგან სნეულებით ავადმყ. მიღება ყოველ-დღე დილ. 9—11 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე. კათოლიკეთა ქუჩა, № 10. ტელეფ. 792. (თ 100—1534—79).

სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის. ვანქის დიდ ქუჩაზე, №3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად. ტელეფონი № 483.

ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ავადმყოფთა მიღება 9½-დან 5 ს.-დე.

ასპისოვი. ცხვირ., ყელ. და ყურისა. ყოველ-დღე. 1—2 საათამდე.

ბოჟოვსკი. ორშ., ოთხშ., პარასკ., კვირ. 4—5 საათ.

არგუთინსკი, შინაგ., ბავშვ. ყოველ დღე 9½ სათ. 11 ს.

მონსე. ბავშვთა, შინაგ. ავადმყ. ორშაბ., ოთხშაბ., პარასკ. 1½—3 საათ.

ნოვიცკი. ქალთა ავადმყ., ყოველ დღე 1—2 საათ.

კალამკაროვი. ქალის ავად. ყოველ-დღე გარდა ხუთშაბათისა, 12—1 სათ.

უკლადნიკოვი. შინაგ. ავად. სამშ., ხუთშაბ. 4—5 საათ.

რიდელი. შინაგ. ავად. და ბავშვ. ყოველ დღე, გარდა ხუთშ. და კვირისა 12—1 საათ.

თეთრაძე. სიფ., ვენერ., კან. ყოველ-დღე 1—3 საათ.

ჩუდნოვსკი ი. ნერვ., სულ., ელექტროტერაპია, ყოველ-დღე გარდა კვირა-უქმისა 11½—1 საათ.

ბალდინა-ნოვიცკაია. ყელისა, ყურისა, ცხვირ. ყოველ დღ. 11—12 ს.

რუდენკო. შინაგ. ხუთშ. და კვირ. 3—4 ს.

ვესელოვზოროვი ქირურგ. ავად. ყოველ დღე 2—3 საათ.

ტერ-ნერსესოვი. ქირურგ. ყოველ დღე გარდა ხუთშ. 1—1½ ს.

იოსელიანისა ქალთა ავად., ორშაბათ. ოთხშ., პარასკ., კვირა 11—12 საათ.

ბაგდოევისა, კბილ. ყოველ დღე 3—5 ს.

ლიმონი. კბილ. 10—1. ს.

კუნთებში შეუშხაპუნებენ და ძარღვებში შეუშვებენ „606"-ს საღამოს 5—7 საათამდე.

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. სიფილისის (ათაშანგის) გამოკვლევა სისხლში პროფ. ვასსერმანის შრატით. შარდის სადინთა ცისტოსკოპია და კატეტერიზაცია. (თ. 1032—43).

ექიმი **შ. ა. მიქელაძე** იღებს **შინაგან და ბავშვთა სნეულებიან** ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6½ საათ. კახეთის ქ., № 5.

ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

ე. ს. ვაშაკიძე. ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9½ ს. 10 ს,

ა. ნ. დიასამიძე ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ, კანისა და ვენერ. 11 12 ს.

ბა. პოპოვი ყოვ. დღე, კვირ. გარდა ყელ, ყურ. და ცხვ. სნეულ. 11 11 ½.

შ. ა. მიქელაძე შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1 2 ს.

ნ. მ. მელიქიშვილი. ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1 2 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით

წამლობა „606"

(წლ. 1090 253)

დოქტორი მედიცინისა

ი. ე. თიკანაძე

სამკურნალო აკადემიის სამშობიარო და სადოსტაქრო კლინიკების ორდინატორად ნამყოფი, იღებს ფეხმძიმეთ, დედათაბუნების, სადოსტაქრო და საშარდე ორგანოთა (ვენერიულის გარდა) სნეულებით ავადმყოფ მანდილოსნებს. ყოველ დღე საღამ. 5—7-მდის, კიროჩნის ქ. სახ. № 18, თავ. ვაჩნაძისა. ოფიცერთა ეკონომიურ საზოგადოების მაღაზიის პირდაპირ.

საშარდე ორგანოთა სნეულებით ავადმყოფნი მხოლოდ ხუთშაბათობით და კვირაობით მიიღებიან. ტელ. № 1182. (თ. 1591 86)

ექიმი **ი. ი. ბერიშვილი** სწამლობს საშარდე ორგანოთა, ათაშანგისა და კანის ავადმყოფობას. ვასსერმანის რეაქციით იკვლევს ათაშანგისაგან მოწამლულ სისხლს.

ავადმყოფთა მიღება ნაშუადღევის 3—5½ საათამდე, **ელისაბედის ქუჩა**, № 94, საფოსტო განყოფილების პირდაპირ. (თ.—183—5)

ექიმი **ვ. მუსხელიშვილი** მიიღებს თვალის ავადმყოფთ ყოველ დღე დილ. 9—11 ს. დიდი მთავრის ქ., № 67, სახლი სვანიშვილისა.

საგურთალოზე

მშვენიერ ალაგას,

ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ოთხკუთხ **საჟენი 80 კ.-დან.**

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს,** დილის 6 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა.

(წ. 1147 2 4)

ელექტრონისა და რენტგენის სამკურნალო

მიხ. გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1 ს., საღამოს 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყოროღანოვის ქ., № 20. (წ. 1249 58).

ექიმი **ე. ი. მინასიანცი** შინაგან, ბავშვთა, კუჭისა და ნაწლევ, სნეულებათა, პარიზელ პროფეს. Mathieu-ის სპეციალურ კლინიკიდან. ღებულობს დილის 9 11 ს.-დე და საღამოს 6 7 სათამდე.

ელისაბედის ქ., **№ 39**, ტელეფონი **№ 1067**. (100—1117—79).

ექიმი **პ. არდაზიანი** შინაგან და ბავშვებ. ავადმყოფ. (სპეციალ. ფილტვების სნეულება, სისხლის ნაკლულება, რევმატიზმი—ქარები). ლის 9—12 ს. საღამოს 5—7. (25.899.44).

ექიმი **კბილისა და ღრძილებისა ქაჯაია** იღებს ავადმყოფებს დილით 9-12 ს. საღამოთი 3-6 საათამდე. ელისაბედის ქუჩა, **№ 151** (დიდუბე). (თ, 1660.20)

ექიმი **კბილისა ნინო რცხილაძე** მიიღებს ავადმყოფებს დილის 10 2 ს.-მდე და საღამოს 5 7 ს. ადრესი: ოლღას ქუჩის შესახ. **№ 5.**

ექიმი **კბილისა იოსებ ზაქარიას ძე კანდელაკი** მიიღებს დილით **9**-დან **2**-მდის და საღ. 4-დან 5-მდის. სწამლობს კბილებს, აკეთებს პლომბებს და სხავს ხელოვნურ კბილებს. ტფილისი, მიხაილოვის პროსპ. № 7. (50—1552—23)

ექიმი **გ. მ. ლოლობერიძე** იღებს ავადმყოფებს საღამოობით 4—6 საათ. წამლობა ფოსფაციდით.

კირპიჩნის შესახვევი, სახლი სვიმონოვისა, **№ 16, ტელ. 693.** (თ—1657—8)

ექიმი **ა. ნ. დიასამიძე** კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—3 ს. საღამ. 6 7 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8 9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. № 3, ს. გაბაშვილისა. (უ)

ექიმი **ე. ვაშაკიძე** იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს, დილით 3—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბაქოს ქ. **№ 12** ს. (9—33).

ექიმი **კბილისა ალ. სოლოღაშვილი** იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9—2 საათ. და საღ., 5—7 ს-მდე. გოლოვინის პრ., **№ 12.** სახლი მდივნისა.

სახალხო სამუსიკო დასაკრავთა

ვაჭრობა

ი. ე. ბუტკოსი და პ. ე.

კოსარევისა

ტფილისი, ვერის დაღმართი, № 1.

გასაყიდად გვაქვს აუარებელი სკრიპკები, **შიგარჩევით,** ვიოლონჩელები, კონტრაბასები, გიტარები, მანდოლინები, ბალალაიკები, ვენის გარმონები—პინჩენსკის სისტემისა და სარატოვის გარმონები. რადგანაც საქონელს პირდაპირ ქარხნიდან ვიღებთ და ბინის ქირადაც ბევრს არა ვხარჯავთ ჩვენი საქონლის ფასები მეტის-მეტად იაფია. იაფობა ყოველ მეტოქეობის გარეშე.

ყოველგვარი სიმები.

შეიძლება **ფასის ნაწილობით გადახდა და საკრავების ქირით წაღება.** აგრეთვე გვაქვს ყველა სამუსიკო საკრავთა სახელმძღვანელონი, ეტიუდები, კონცერტები და უდიდესი არჩევა **სანოტე ქაღალდისა.**

ვკისრულობთ ყველა სამუსიკო დასაკრავთა შეკეთებას. აქვე იკითხეთ გამოცდის მუსიკის მასწავლებელთა მისამართი. (10.1041.2)

ქართული პრესა

როგორც ჩვენი მკითხველები გაიგებდნენ, ქუთაისში საადგილ-მამულო ბანკის რწმუნებულთა არაჩვეულებრივი კრება გაიხსნა, მაგრამ მალე ისევ დაიხურა. კრების მიწვევის გამო ქუთათური გაზეთი „კოლხიდა" სწერს:

„კრების პირველი ნაბიჯი თავმჯდომარის არჩევა იყო და ამ პირველ ნაბიჯში ბევრი რამ გამოიხატა. პროგრესიული ჯგუფი კრებისათვის არ გამზადებულა. არამც თუ სოფლებიდან ჩამოსული, თვით აქ მცხოვრები რწმუნებულებიც წინასწარ რიგიანად არ შეთანხმებულან და ერთი განსაზღვრული პოზიცია არ აურჩევიათ. საზოგადო კრებაზედაც ბევრი მათგანი არ გამოცხადებულა, რაც მეტად სამწუხაროა და შეუწყნარებელიც... ამ გარემოებაში მოხდა კენჭის ყრა—და რეგრესიული ჯგუფის კანდიდატი ოთხი ხმის უმეტესობით თავმჯდომარედ აირჩიეს... რეგრესიული ჯგუფი თავის თავს გამარჯვებულად სთვლის, რასაც თავმჯდომარის პირით კიდეც აცხადებს: ეს გამარჯვება, თუ ამას დაკვირვებით განვიხილავთ, ძლიერ დღენაკლულია—და აი რატომ: დღევანდელი თავმჯდომარე უწინ თუ ერთხმად არა, საერთო ხმის სამი მეოთხედის უმეტესობით მაინც თეთრდებოდა, დღეს კი ოთხი კენჭით გათეთრდა. აქედან ცხადათაა, რომ, წინააღმდეგ მისი განაცხადებისა, თავის ამრჩევლებშიც კი ნდობა დაჰკარგვია და ნიადაგი გამოსცლია, რადგანაც დღეს მას ირჩევდა უმეტესად მისივე წრე, და მოწინააღმდეგეთა წრის წარმომადგენელთა რიცხვი კი მცირე იყო. ამიტომაც ისეთი სიტყვები, რომ კიდევ ნდობა მაქვს და უმეტესობისათვის სასურველი ვარო—უსაფუძლო იმედია და მეტი არაფერი, ეს იმას ნიშნავს—სასიკვდილო ავადმყოფმა, რომელსაც რამდენიმე დღის სიცოცხლეღა დარჩენია, სთქვას, კარგად ვარ, რადგანაც ორ-სამ დღეში სული არ ამომხდებაო...

როგორც ეტყობა, ხსენებული ავადმყოფი უფრო მართალი იქნებოდა. დიდი რიხითა და ზეიმით იდღესასწაულა დ. ნიჟარაძემ თავისი გამარჯვება, მაგრამ კარგმა ფონმა ერთს რადგანაც, როგორც ჩვენი კორესპონდენტი დეპეშით იუწყება, „დიდის ხმის უმეტესობით სწრაფ განსახილველად არა სცნო საკითხები" თუ ეს გამარჯვებაა, დ. ნიჟარაძეს დიაღაც რომ შეუძლიან გამარჯვება იდღესასწაულოს.

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან).

გუშინ მკითხველებს შრომის ჯგუფელთა აზრი გავაცანით ინგლისელ სტუმრების შეხვედრაზე. დღეს მოგვყავს გაზეთ „რეჩის" აზრი ამავე საგანზე.

გაზეთის აზრით, მრავალი პირობები ხელს უშლის ინგლისელთა დარბაზობის შესაფერ შთაბეჭდილებას: უწინარეს ყოვლისა გაზეთს ინგლისელთა სტუმრობის დრო მიაჩნია შეუსაბამოდ. და ამბობს, უფრო შესაფერი იქნებოდა, რომ ინგლისელები პირველ სახელმწიფო სათათბიროს გვწვეოდნენო. გაზეთი იხსენიებს სახელმწიფო სათათბიროს წევრთა ლონდონში სტუმრობას და მას პოლიტიკურ მნიშვნელობას აწერს. რუსეთის მთავრობას ჰსურდა ინგლისის მთავრობასთან დაახლოვება და ამ მიზანს კიდეც მიახწიაო.

> მაგრამ დღეს, როდესაც ინგლისელები გვეწვივნენ, ფოსტამ მოგვაწოდა მრავალი ნომერი ინგლისურ გაზეთებისა, რომელნიც კრიტიკის ქარ-ცეცხლში ატარებენ და მძლავრად ჰგმობენ ჩვენი დამსჯელი ექსპედიციების სპარსეთში მოქმედებას.
>
> დღეს არა მტრები, არამედ მეგობრები ითვლიან უკვე დღეებს, როდესაც სერ გრეი იზვოლსკისამებრ ისტორიას ჩაჰბარდება.

გაზეთი აღნიშნავს ინგლისელ დეპუტაციის შემადგენელობის ცვლილებას და ამბობს:

> სად არიან აღფრთოვანებული დამცველნი პოლიტიკური თავისუფლებისა? სად არიან საქვეყნოდ ცნობილნი პირნი, რომელთ თვითოეული სიტყვა პროგრესისა, წინმსვლელობისა, პოლიტიურ თავისუფლებისა და სოციალურ თანასწორობის შესახებ მოგვითხრობს...

გაზეთი მწუხარებას გამოსთქვამს ინგლისის პალატის სპიკერის სერ ლოუტერის შუა გზიდან გაბრუნების გამო.

როგორ უნდა შეჰხედოს რუსეთის საზოგადოებრივმა აზრმა ინგლისელთა დარბაზობას?—ჰკითხულობს გაზეთი და შემდეგ პასუხს იძლევა: მიუხედავად მრავალი ნაკლისა, ოპოზიციამ მაინც მონაწილეობა უნდა მიიღოს ინგლისელთა შეხვე-

დრამიო. გაზეთს შემდეგი მოსაზრებანი მოჰყავს თვისი აზრის დასასაბუთებლად: ჯერ ერთი, დარბაზობა სამაგიეროა; ჩვენს დეპუტატებს დიდი ზეიმით მიეგებნენ და ჩვენც ვალდებულნი ვართ ინგლისელ სტუმრებს პატივისცემით დავუხვდეთო.

ხანდახან თავდაჭერა უფრო მეტს ღაღადებს, ვიდრე აქტიური მონაწილეობა. სანამ ჩვენს აზრს არ შევცვლით ინგლის-რუსეთის დაახლოვებაზე არ შეგვიძლიან თანაგრძნობით არ მოვეკიდოთ ყოველივე იმას, რაც ამ დაახლოვებას ხელს შეუწყობს. ინგლისელები გვესტუმრნენ არა როგორც კონსერვატორები, ან რადიკალები, არამედ როგორც მეგობარ ერის წარმომადგენელნი და ჩვენც ვალდებულნი ვართ საკადრისად დავუხვდეთო.

დაასკვნის გაზეთი.

ახალი ამბავი

ტფილისი

✦ **გუბერნატორს დასამტკიცებლად წარედგინა** ქალაქის საბჭოს დადგენილება, რომლითაც ქალაქის მოურავად ა. ი. ხატისოვი იქმნა არჩეული.

✦ **მოსკოვის სახალხო ბანკის გამგემ პერლიშინმა** თავ. გ. მ. თუმანოვს დეპეშით აცნობა, გადაწყვეტილია ტფილისში გაიხსნას ამ ბანკის საკომისიონერო განყოფილებაო.

✦ **ტფ. საბირჟო კომიტეტმა** დეპეშით რწმუნება მისცა პეტერბურგში მყოფს თავ. ვლ. მიქელაძეს, მიიღოს მონაწილეობა 23 იანვარისთვის დანიშნულ თათბირში, რომელიც განიხილავს საკითხს სავაჭრო სამრეწველო პალატების შესახებ.

✦ **ქალთა უმაღლეს კურსების** მსმენელნი, რომელნიც პეტერბურგსა და მოსკოვში საექსკურსიოდ იყვნენ წასულნი, 17 იანვარს საღამოს, ტფილისში დაბრუნდნენ.

✦ **რეფერატი.** 20 იანვარს, საღამოს 8 საათზე, სამკურნალო საზოგადოების შენობაში ქ-ნი მ. ი. ჩხეიძე რეფერატს წაიკითხავს შემდეგს თემაზე: „რაზე იქმნება დაფუძნებული მომავალი საზოგადოება: უფლებასა თუ ზნეობაზე.“

✦ **ფრენა.** კავკასიის სამხედრო ოლქიდან სევასტოპოლის ავიაციის სკოლაში ფრენის შესასწავლად ტფ. პოლკის ორი ოფიცერი გაიგზავნა: [illegible]

✦ **მეფუტკრეობის საზოგადოებამ** დაადგინა, კავკასიის სააბრეშუმო სადგურთან მეფუტკრეობის ნაწარმოების საწყობი გამართოს.

✦ **ქალაქის გამგეობის სასტატისტიკო ბიურომ** ქალაქის თვითმმართველობის დაწესებულებათა სია და ადრესები შეადგინა და ცალკე წიგნად გამოსცა.

✦ **მასწავლებლის დათხოვნა.** სავაჭრო-სამრეწველო სკოლების ინსპექტორმა ფიშერმა პეტერბურგიდან დეპეშით წინადადება მისცა ტფ. მეორე საკომერციო სასწავლებლის დირექტორს ნ. მახათაძეს, დაუყოვნებლივ დაითხოვოს სამსახურიდან ამ სასწავლებლის მასწავლებელი ა. პ. მათვეევი.

✦ **ქალაქის გამგეობის წევრმა** თავ. ა. მ. არღუთინსკი-დოლგორუკოვმა გამგეობას ვრცელი მოხსენება წარუდგინა **ქალაქის წყალსადენის** შესახებ. გამგეობა მოხსენებას ამ დღეებში განიხილავს და შემდეგ ქალაქის საბჭოს წარუდგენს.

✦ **სალიტერატურო პრემია.** 16 იანვარს ქართ. თეატრში სალიტერატურო საღამო გაიმართა, რომლის შემდეგაც საჯაროდ პრემიით დაჯილდოვება მოხდა „თემი“-ს რედაქციაში საკონკურსოდ წარდგენილ ლექსისა. ლექსს სათაურად აქვს: „მზე“ და სამის ნაწილისაგან შესდგა: 1) დილა, 2) შუადღე და 3) საღამო. ლექსს ბოლოში დევიზად აწერია: „სატურნ“. საღამოს საპატიო თავჯდომარემ აკაკიმ კონვერტი გახსნა, სადაც დაცული იყო ვინაობა ამ ლექსის ავტორისა. ლექსის ავტორად ახალგაზრდა პოეტი ს. აბაშელი (ფსევდონიმი) აღმოჩნდა. მისი ნამდვილი სახელი და გვარი: ალექსანდრე ჩოჩია არის. ბ-ნმა აკაკიმ სცენაზედვე გადასცა ავტორს პრემია (30 მან.). დაჯილდოვებულს პოეტს დამსწრე საზოგადოება მხურვალე ტაშის ცემით მიეგება.

✦ **ლექცია.** 22 იანვარს, ნაშუადღევის პირველ საათზე სახალხო სახლში ქ-ნი პომერანცევა-ფროლენკო ლექციას წაიკითხავს შემდეგს თემაზე: „სოფლის სურათები“.

✦ **ქართული თეატრი.** დღეს ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მსახიობნი „ჰამლეტს“ წარმოადგენენ.

✦ როგორც დეპეშათა სააგენტო იუწყება, **თავრიზში ჩამოუხრჩვიათ ქართველი ფიდაი ნიკო**, რომელიც აქტიურ მონაწილეობას იღებდა რუსეთის ჯარზე თავდასხმაში.

✦ კავკასიის ნამესტნიკმა ნება დართო ადმინისტრატიულად გადასახლებულს ქუთაისის გუბერნიის სენაკის მაზრის სოფელ ბეთლემის მცხოვრებ აზნაურს **გრიგოლ ლუკას ძე შავდიას** კავკასიაში ცხოვრებისა. მხოლოდ უფლება არა აქვს რკინის გზის სამმართველოს ფარგლებში ცხოვრებისა.

✦ [illegible] **ბის ამხანაგობის გამგეობამ** დაადგინა გამართოს პატარა საცდელი მინდორი, იმის გამოსაკვლევად, თუ რამდენად იგვარებს საქონლის საკვები ქარხალი, სიმინდი და იონჯა (ალავერდა ბალახი). ამისათვის საჭირო ადგილი ამხანაგობის გამგეობამ უკვე აიღო სოფ. დიდლილოში და გაზაფხულზე შეუდგება კიდეცა მუშაობს.

✦ **ქველმოქმედთა საყურადღებოდ.** ტფილისის გუბერნატორმა ნება დართო უმწეოდ დარჩენილ **სოფიო დიმიტრის ასულს სვეტლოვისას** შემოწირულება მიიღოს. სვეტლოვისა სცხოვრობს ტფილისში, ყიფიანის ქუჩაზე, 27, სახლი ხუციშვილისა. ყოველივე დახმარება მსურველს შეუძლიან ამ მისამართით გაჰგზავნოს.

✦ შეიპყრეს პროფესიონალური ქურდები: ნიკოლოზ ცხვედაძე და დავით ქარაშვილი.

✦ 17 იანვარს ტფილისში შეიპყრეს ცნობილი ჯიბგირი, რომელსაც მეტ სახელად „სტეპკო“-ს უძახიან. იგი აღმოჩნდა სიღნაღის მაზრის სოფელ საქობოს მცხოვრები სტეფანე ქიტესას ძე ჯიბგირაშვილი, რომელიც მრავალჯერ გაუსამართლებიათ სხვა და სხვა ბოროტ-მოქმედებისთვის და ბოლოს გორში გადაუსახლებიათ პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ. ჯიბგირაშვილი გორიდან ტფილისში ნებადაურთველად ჩამოსულა.

✦ შეიპყრეს ტფილისში ცნობილი ჯიბგირი სარქის ბაღინოვი.

✦ 17 იანვარს ტფილისში 29 უპასპორტო შეიპყრეს.

საზოგადოებანი და კრებები

✦ **პირუტყვთა მფარველ საზოგადოების** წევრთა საერთო კრება 29 იანვარს მოხდება.

✦ **ს. გომის ბიბლიოთეკის გამგედ** გუბერნატორმა დაამტკიცა პარმენ დომენტის ძე მაჭარაშვილი ნაცვლად ძველის გამგის მასწავლებლის დიმიტრი ბილანაშვილისა.

✦ **ქალაქის საბჭოს.** მორიგი კრება პარასკევს, 20 იანვარს, მოხდება. კრება სხვა და სხვა კომისიის წევრებს აირჩევს.

სასამართლო

✦ **რედაქტორის საქმე.** ხვალ, 20 იანვარს, ტფ. სამოსამართლო პალატა წოდებათა წარმომადგენლების მონაწილეობით „ზაკავკ. რეჩ“-ის რედაქტორის თავ. გ. ი. ფალავანდიშვილის საქმეს გაარჩევს. სამართალში მიცემულია სისხლის სამართლის მე-129 მუხლის ძალით. თავ. ფალავანდიშვილი ამ ჟამად ასის თუმნის თავდებით არის განთავისუფლებული.

სომეხთა ცხოვრებიდან

✦ **დაშნაქცუტუნების საქმე.** პეტერბურგიდან დეპეშათა სააგენტო იუწყება: სენატის განსაკუთრებითი შემადგენლობა სომხების სარევოლიუციო პარტიის დაშნაქცუტუნების საქმის გარჩევას შეუდგა. პასუხის გებაში მიცემულია 159 კაცი, მოწმედ დაბარებულია 330. თავმჯდომარეობს სენატორი კროვცოვი; [illegible] კურორის ამხანაგი აკსაკოვი და ნოვოჩერკასის სასამართლო პალატის ბრალმდებლის ამხანაგი სერგეევი. მრავალ დამცველთა რიცხვში არიან სათათბიროს წევრები: მაკლაკოვი, ტესლენკო, აჯემოვი. საქმე ხალხის დაუსწრებლად გაირჩევა.

ბრალდებულთ გაასამართლებენ სისხლის სამართლის დებულებათა მე-102 და სასჯელთა დებულების 1453 მუხლის ძალით. მათ ბრალად ედებათ მთავრობის წარმომადგენლთა სიკვდილი: ქუთაისის დროებით გენერალ-გუბერნატორის ალიხანოვისა, ბაქოს გუბერნატორის ნაკაშიძისა, განჯის ვიცე-გუბერნატორის ანდრეევის და მრავალი სხვა.

✦ **სომეხთა შორის სასარგებლო ცოდნის გამავრცელებელ საზოგადოების** საერთო კრება 8 თებერვლისთვის არის დანიშნული. კრება განიხილავს 1911 წლის ანგარიშსა, 1912 წლის ხარჯთ-აღრიცხვასა და თანამდებობის პირთ აირჩევს.

ქუთაისი.

✦ სახალხო სკოლების დირექტორია ატყობინებს **შავი-ქვის საბჭოს**, რაც შეიძლება ადრე გვიჩვენეთ ადგილი, სადაც შეიძლებოდეს მოთავსდეს პარალელური განყოფილება სამოქალაქო სასწავლებლისაო.

✦ გუშინ საღამოს მატარებლით გაემგზავრა ქ. მიუნხენს (გერმანია) ახალგაზდა **მხატვარი დ. შავარდნაძე**, რომელსაც შავი-ქვის საბჭომ მიანდო დახატოს ჭიათურის მომავალ ეკლესიისათვის მხატვრობა. ამისათვის საბჭო აძლევს 1200 მანეთს.

✦ **საჩხერის ბოქაულად** დაინიშნა ჭიათურის ბოქაულის თანაშემწე ვ. კუხალეიშვილი.

✦ საოლქო სასამართლოში დაიწყო **ყალბ ფულის მომჭრელთა** ბათომის ორგანიზაციის საქმე. პასუხისგებაში მიცემული ოცი სხვა და სხვა ეროვნების პირი. დამცველებად არიან მოწვეულნი ბ-ნი კლანკი, ჰეპშტეინი, ფუქსი, გელაზაროვი, ჩიკვაიძე, ბახტაძე, გიორგაძე და ქუთათელაძე.

✦ ჭიათურიდან აცნობებენ **შავი-ქვის საბჭოს**, რომ მათს აბანოში ხშირად 4 გრადუსი სიცივეა და ბანაობა ყოვლად შეუძლებელიაო.

✦ **დრ. საზ. გამგეობამ** 15 იანვარს კრებაზე დაადგინა, მოიწვიოს 25 იანვრისთვის საზოგადო კრება, რომელმაც, სხვათა შორის უნდა გადასწყვიტოს, განაგრძოს თუ არა გამგეობამ გაზაფხულის სეზონი.

✦ ქუთაისის პოლიცმეისტერი სთხოვს ქალაქის გამგეობას 400 მანეთს ცეცხლის მქრობელ რაზმისთვის მანქანის რამდენიმე ნაწილის შესაძენათ. ეს მანქანა ძალიან დაზიანებულიაო.

✦ ახალგაზდა მხატვარი **კოტე ქავთარაძე**, რომლის სურათებიც ამას წინად ტფილისში იყო გამოფენილი, თხოვნით მიმართავს შავი-[illegible] ხელი შეუწყოს და შეძლება მისცეს სწავლის გასაგრძობად საზღვარ-გარედ გაემგზავროს. თუ საბჭოს ამისათვის თავისუფალი თანხა არ აქვს სესხად თხოულობს 600 მანეთს.

✦ 13 იანვარს, მოხდა შეერთებული სხდომა ქალაქის საფინანსო და საამშენებლო კომისიების, რომელმაც განიხილა საკითხი შესახებ იმისა, თუ რა წესით უნდა განახორციელოს ქალაქმა წყალსადენი, ელექტრონით განათება, ტრამვაის გაყვანა ღ არხების გაკეთება. კომისიამ ერთხმად დაადგინა: ამ საქმეთა წარმოება მოაწყოს ქალაქმა საოჯახო წესით და არა კონცესიით, ხოლო მათი გაკეთება მიენდეს მოიჯარადრეს, რომელმაც გაკეთებისათანავე ეს საქმეები უნდა გადასცეს ქალაქის გამგეობას. თანაბარი განცხადება, როგორც რუსეთის, ისე საზღვარ-გარეთის გაზეთში უნდა მოთავსდეს.

საბჭოს მორიგ სხდომამდე გამგეობა მოიწვევს ხმოსნებს კერძო თათბირზე კომისიის დადგენილების განსახილველად. („კოლხ.“)

პროვინცია

✦ **ლანჩხუთი.** 15 იანვარს ადგილობრივ ქალთა სკოლის შენობაში თავი მოიყარეს **ლანჩხუთის დრამატიულ ჯგუფის წევრებმა** და იქონიეს თათბირი შესახებ იმისა, თუ როგორ სცენ პატივი მსახიობ ქალს **მ. საფაროვ-აბაშიძისას მის იუბილეის გამო.** კრებამ დაადგინა: 1) 29 იანვარს მაკოს პატივსაცემლად გაიმართოს საიუბილეო წარმოდგენა. წარმოდგენის დაწყების წინ წაკითხულ იქმნას ბიოგრაფია იუბილიარისა. ფული კი, რომელიც წარმოდგენიდან შემოვა მოხმარდეს ადგილობრივ თეატრის საჭიროებას. 2) 22 იანვარს გაეგზავნოს იუბილიარს მისალოცი დეპეშა ტფილისში.

— აქ ამ ჟამად **სათეატრო შენობის აგებისას** ბევრს ლაპარაკობენ. შედგა ჯგუფი, რომელიც პირობით ეკრება კერძო პირს ამ საქმეზე. ეპირებიან ამასთანავე ლანჩხუთში დრამატიულ საზოგადოების დაარსებას. წესდება საზოგადოებისა უკვე შეიმუშავეს და დასამტკიცებლად ამ დღეებში გუბერნატორს გაუგზავნიან.

შემოწირულება

მ. მ. საფაროვ-აბაშიძის იუბილეს გამო.

იაკობ მიხეილის ძის მანსვეტოვისაგან—25 მ. ადამ ივანის ძის ფორაქოვისაგან—25 მ. ზაქარია დავითის ძის ფორაქოვისაგან 20 მ. თინათინ გიორგის ასულის ფორაქოვისაგან—10 მ. იაკობ სვიმონის ძის გოგებაშვილისაგან—10 მ. კნ. ელისაბედ ელიზბარის ასულის ერისთავისაგან—10 მ. ოთ. ვასილ ედიშერის ძის ბაგრატიონ დავითიშვილისაგან—10 მ. სულ—110. მ.

ხაზინადარი საიუბილეო კომიტეტისა **კნ. ანასტასია მაჩაბლისა.**

საადგილ-მამულო ბანკის

რწმუნებულთა არაჩვეულებრივი კრება.

15 იანვარს.

აუსრულდათ წადილი იმ პირთ, რომელნიც სცდილობდნენ არა ჩვეულებრივი კრება მოეწვიათ.

15 იანვარს შესდგა კრება და დაიწყო ჩვეულებრივი ქუთათური კრება, რომელსაც აქ უდავით ნიჟარაძოთ არასდროს არ თავდება.

არაჩვეულებრივი კრებაც დავით **ნიჟარაძით** დაიწყო. მან ყუთი დაადგა **კიტა აბაშიძესთან** ერთად თავმჯდომარეობაზე [illegible] იქნა, მაგრამ [illegible]. [illegible] და ენერგიულობა [illegible] ნიჟარაძეს [illegible] ის მიზეზ, რომ თეთრი კენჭი შავს შვიდით სჭარბობდა, იმ დროს, როცა თ-დ კიტა აბაშიძეს სულ 5 ხმით გაასწრო; მიიღეთ ეს მხედველობაში და ისიც, რომ რაც-კი ძალა ჰქონდათ თ-დი ნიჟარაძის მომხრეებს ყველა გამოცხადდა იმ დროს, როცა ოპოზიციის მომხრენი თავთავის სახლში იყვნენ განცხრომაში და მაშინ მიხვდებით რომ თ-დი დავით ნიჟარაძის გამარჯვება პირისას არ აღემატება.

მიუხედავად ამისა, დაიჭირა თუ არა თავმჯდომარის სავარძელი, თ-მა ნიჟარაძემ ჩვეულებრივის ბაქი-ბუქით წარმოსთქვა სიტყვა, მადლობა გადაუხადა ამომრჩევლებს და ისიც აღნიშნა, რომ ეს არჩევანი, წინააღმდეგ ზოგიერთ გაზეთის განცხადებისა, ადასტურებს იმას, რომ ნდობა არა თუ მარტო თავად-აზნაურთა წრეებში მაქვს, ვაჭრებშიაც მქონია. საიდან გამომდინარეობდა ეს ახირებული დასკვნა, არ ვიცი, ამას კი ამბობენ საქმის მცოდნენი, რომ არც ერთ ვაჭარ-რწმუნებულს მისთვის თეთრი კენჭი არ მიუციაო.

რაღა ვთქვა ინტელიგენციის იმ წარმომადგენლებზე, რომელთაც არ ინებეს კრებაზე მოსვლა და გამარჯვება მიანიჭეს თ-დ ნიჟარაძეს, რომლის მოღვაწეობა არა ერთხელ დაფასებულა ჯეროვანად გაზეთების ფურცლებზე.

დაიწყო კრება. წაიკითხეს 5 თუ ექვსი განცხადება, რომელიც რწმუნებულების ერთ ჯგუფს ბ-ნ დიდიმ ჩიკვაიძის მეთაურობით შეუტანია ზედამხედველ კომიტეტში ჯერ დამფასებელ კომისიის წევრების არჩევანის გასაბათილებლად და მერე, როცა ეს არ შეუწყნარებია არც კომიტეტს და არც გამგეობას, არა ჩვეულებრივ კრების მოწვევის შესახებ.

შემდეგ ამისა ბ-მა **გიორგი ზდანოვიჩმა** მშვენიერ სიტყვაში განმარტა კრების მოწვევის თაოსანთა სულის კვეთება და აღნიშნა ისიც, რომ მთელი ეს აყალ-მაყალი ბანკის საკეთილდღეოდ კი არ არის ატეხილი, არამედ მისთვის, რომ ორი კაცი დამფასებლად აღარ აირჩია ბანკის ზედამხედველმა კომიტეტმა და გამგეობამ.

თ-დმა იასონ გელოვანმა სთქვა, რომ ოცი კაცის ნდობის მოპოვება ყველას შეუძლიან და თუ ყოველმა ჩვენთაგანმა ბოროტად მოიხმარა ეს უფლება და წარა-მარა არა ჩვეულებრივი კრება მოგვაწვევინა, მაშინ ჩვენს საქმეს საქმიანობის მაგივრად მასხარაობის დაღი დაესმისო.

ბ-ნი **დიდიმ ჩიკვაიძე** თამამი კაცია, მაგრამ ბ-ნი გ. ზდანოვიჩისა და თ-დ გელოვანის სიტყვამ იმაზედაც

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

ნ. მარრის შრომა.

Н. Марръ. Георгій Мерчулъ. Житіе св. Георгія Хандзтійскаго грузинскій текстъ, введеніе, изданіе, переводъ съ дневникомъ поѣздки въ Шавшію и Кларджію. С.-Петербургъ 1911.

ეს წიგნია ის განცხადება, რომლითაც ჩვენმა მამულიშვილმა ნ. მარმა დაგვანახვა ეხლანდელი საუბედურო, ხოლო ძველად აყვავებული მდგომარეობა საქართველოს სამხრეთის თემის კლარჯეთის ერთი რაიონისა, სადაც VIII—X საუკუნეში დუღდა და გადმოდიოდა ქართველთა სამონასტრო საკულტურო ცხოვრება; სადაც იმ კეთილმდგომარეობის საბუთად ისეთი საჩინო ძეგლებია ქართული ხელოვნებისა, როგორიც **ტბეთი, ენირაბათი, შატბერდი, ოპიზა, დოლისყანა**, ჯერ კიდევ **გუმბათიანები და გუნათლე, სურევანი, სამწყარო, ანჩი, არტანუჯი, წყაროსთავი, ხანძთა და მიჯნაძორი ნანგრევებად-ღა დარჩენილები.**

წმ. გრიგოლ VIII საუკუნის მოღვაწეა; თუმცა ხანძთელად იწოდება, ითვლება აგრედვე აღმაშენებლად შატბერდისა, სადაც ბერაი და მიქელ მოდრეკილი ბრწყინავდნენ პირველი სამწერლო, ხოლო მეორე სამწერლო-სამუსიკო მოღვაწეობით.

შატბერდი ხანძთაზე თუ მეტად არა, ნაკლებად საყვარელი არ ყოფილა წმ. გრიგოლისთვის.

გრ. ხანძთელის ცხოვრების აღმწერის გიორგი მერჩულის ვინაობისას არაფერს გვიამბობს ნ. მარი, არც გვაძლევს განმარტებას, თუ რას ნიშნავს **მერჩული**, გვარია, თუ წოდება, რომლითაც განთქმულა. ჩვენის აზრით, **მერჩული** უნდა იყვეს სიტყვა, წარმოებული **რჩეულისაგან**, რაიც ნიშნავს იმავე **სჯულს**, შჯულს, რჯულს, (ს=შ; ს=რ; ჯ=ჩ), ასე რომ მერჩული უნდა ყოფილიყო ადამიანი მცოდნე სჯულების, თუ კანონებისა. სამწუხაროა, რომ ისტორიამ არ შეგვინახა ცნობა გიორგი მერჩულის სადაურობის და ვინაობისა ისეთის მთხრობელ-მწერლისა, რომელიც ხელოვანი ყოფილა.

ნ. მარის თქმით, გრიგოლ ხანძთელის მოღვაწეობის ადგილი მდებარეობს საქართველოს სინას სამზღვრებში, როგორც ეძახდნენ ძველად კლარჯეთის ერთ მაზრასა, სადაც, შეიძლება, ვჰსთქვათ, რესპუბლიკად სცხოვრებდა ქართველთ ბერ-მონაზონობა, ხოლო სივრცე მისი მოქმედების ასპარეზისა იყო 15 ვერსი აღმოსავლეთით დასავლეთამდე და 10 ვერსი ჩრდილოეთით სამხრეთამდე. სამხრეთით იმ ადგილს ჩაუდის იმერ-ხევი, აღმოსავლეთით კარჩხალი, იმერხევის მარჯვნით შესართავი, ხოლო ჩრდილოეთით დარაჯად დასცქერის კარჩხალის მთა.

აი ამ ადგილში იყო უმთავრესად გაჩაღებული სამონასტრო და საკულტურო მოღვაწეობა გრიგოლ ხანძთელის და მის თანამოქმედთა VIII საუკუნის დამლევს და IX საუკუნის პირველ ნახევარში. წმ. გრიგოლის მოღვაწეობა გავრცელებულიყო კარჩხალის იქითაც, სადაც ეხლა იმერხევია, იმერხევის სამხრეთისაკენ შავშეთს და შორს დასავლეთისაკენ ტაოს. გრიგოლის მოწაფეები მოღვაწეობდნენ კიდევ უფრო შორს აფხაზეთს, ქართლს, მესხეთს და საქართველოს სხვა კუთხეებში, აგრეთვე საქართველოს გარეთაც წმ. ქვეყნის მონასტრებში. მეტ წილად ამ ადგილებს ეტყობოდათ გავლენა მანე მოძღვრისა, ვიდრე ცოცხალ იყო (§ 1).

თუმცა გრ. ხანძთელის მოღვაწეობის ადგილი, რომელსაც საქართველოს სინა ეწოდა, განმარტოებული იყო და კლარჯეთის ისტორიის მსვლელობაზე გავლენა არ უნდა ჰქონოდა, მაგრამ ღრმა კვალი დააჩნია, როგორც კლარჯეთის ქვეყნის, ისე მის მკვიდრთა ტიპსა, ყოფა-ცხოვრებასა და ენასა.

ჭოროხის და არა რიონის ხეობაში, როგორც სჩანს, მკიდრობდა ტომი, რომელმაც შეჰქმნა ძველი კოლხეთი, სახელგანთქმული ბერძნულის თქმულებით. ამ ხეობას აკრავს უძველესი სამშობლო ივერთა, თუ თიბართა, რომელთ ეპონიმადაც ბიბლიაში მოხსენებულია თუბალ. კლარჯეთი და ტაო მოზიარე იყო დასავლეთით ხსენებულ იაფეტიან ხალხთა ბედისა და თვისი ისტორიული ცხოვრების ცისკრადვე დასახლებული ჰქონდათ ქართველების მონათესავე თუბალ კაინის, ანუ ივერჭანის ერთა (§ 2).

მეცნიერის მოსაზრება რომ არ უარ ვჰყოთ, ვიტყვით, რომ ივერჭანი პირველად მკვიდრი უნდა ყოფილიყო მტკვრის ხეობის იმ თემისა, რომელსაც ერქვა კოლა. **კოლხი** (ბერძნების კოლხოი, კოლხის, კოლხიდოს) სხვა არ არის-რა, თუ არ ძველი ქართული ფორმა მრავლობითი რიცხვისა, რასაც ჰხატავს ან უკვე გაქვავებული სუფიქსი **ხ** და ითარგმნება კოლას მკვიდრნი ისე, როგორც ქართუს მკვიდრნი იმავ ბერძენთათვის იყო **კარდუხი** (**ქართუხი**), ხოლო სომეხთათვის **ვირქ**, ე. ი. ურის მკვიდრნი.

კლარჯეთის ბუნებრივის და ნამდვილის ისტორიით, სერიოზულის და გრძელ ჟამიერის პროცესებით აიხსნება ის, რომ ქვეყნის პირველი მკვიდრნი თუ ბალკაინის ჯგუფის იაფეტიანები გადაქმნილან სომხებად, სომხები კი გადაქმნილან ისევ იაფექტიანებად ქართველთა ჯგუფისად, ხოლო ქართველობა გაოსმალებას დასდგომია.

ქართველთა გაოსმალება ქვეყნის ცხოვრების უკანასკნელ პერიოდს წარმოადგენს და საკმაოდ არის დამოწმებული. გაოსმალების პროცესმა გამოიარა სამი მომენტი: ჯერ ქვეყანა პოლიტიკურად შეეხორცა ოსმალეთის სახელმწიფოს ორგანიზმს, მას მოჰყვა სარწმუნოებრივი გარდაქმნა-გამუსულმანება, რომელიც დასრულდა XVIII—XIX საუკუნეში, ბოლოსაც ლინგვისტიკური მომენტი პროცესისა, რომელიც ადრე დაიწყო, მაგრამ ჯერ არ დასრულებულა და ძლივ თუ მივიდეს ბოლომდე, რათგანაც ახალი ისტორიული ფაქტორები გამოჩნდა.

მასალა იმ ძველი ისტორიული პროცესისა, როცა კლარჯეთის თუბალ კაინები სომხებად გარდქმნილან, ერთობ ცოტა მოიპოვება, ასე, რომ ფაქტის დასახელება შეიძლება, ამ საქმის ისტორიულ განვითარების წარმოდგენა კი არა. ნახევარ საღრაკო თქმულება მის, რომ სომხები შეხიზნულან ივერთა ქვეყანაში ღრმად ჭანეთის სამზღვრებამდე, VI საუკუნის ამბებს ეხება (§ 2).

კლარჯეთის მკვიდრ იაფეტიან ივერჭანთა გასომხება, მერმე სომეხთ გარდაქმნა იაფეტიან ქართველებად, ხოლო დასასრულ ქართველთ გაოსმალება თავისთავად ისეთი საკითხებია, რომ, უეჭველია, ნ. მარი დაინტერესებულ სპეციალისტებს და მკითხველ საზოგადოებას არ გაუცრუებს იმედს და გაუზიარებს მალე თავის ნაკვლევსა. მაგრამ VII საუკუნემდე რომ კლარჯეთი ივერჭანთა ქვეყანა ყოფილა, თვით ივერჭანები რაღსა წარმოადგენდნენ?

თვითონ წმ. გრიგოლ ხანძთელის პირადობა, მისი მოღვაწეობის აღმწერის გიორგი მერჩულის მაღალი სამწერლო ხელოვნება და განვითარება იმდენად საინტერესო მიაჩნია ჩვენს მეცნიერს, რომ უნებურად იგონებს ზოტენბერგს, რომელიც ამბობდა თურმე, ქართული ენა XI საუკუნემდე შეუმუშავებელი კილო იყოო. მაგრამ ასეთი გარემოება არ უკვირს, რათგანაც ჰუბშმანისთანა არმენისტებიც კი, რომელნიც ევროპისთვის ავტორიტეტს წარმოადგენდნენ ამ დარგში, შესაძლებელად ჰპოვებდნენ, სრულიად მოუმზადებლებს და უცოდინრებს შეურაცხყოფით მოეხსენებინათ ნიჭი და კულტურებრივი განვითარება ძველი ქართველებისა, მოურიდებლივ ლაპარაკობდნენ ქართული სიტყვიერების ღონისძიების გამო, სრულიად წარმოდგენილი არ ჰქონდათ არც ენა, არც მწერლობა, არც მეტად რთული ისტორია ქართველთ ერისა, ხოლო ასეთი აზრების გავრცელებით მეცნიერთა შორის ხელი შეუწყეს და ალზარდეს მრთელი თაობა არმენისტებისა უმეცარ-უცოდინარი ერთ-ერთი ძირითადის, თუ არ უმთავრესი წყაროისა, რაზედაც თავითგანვე, საჭირო იყო, დაემყარებინათ სომხური ენის გამოკვლევა. (§ 10).

როგორც ლიტერატურული ნაწარმოები **ცხოვრება** გრ. ხანძთელისა სპეციალისტებისთვის ნამდვილი გამოცხადება არის, საოცარი აქვს იმდენად საუკუნოებით ადრე შემუშავებული ენის სისრულე არა, რამდენად ცხოველი თავისუფლება ქართული ენისა, სტილის სიმსუბუქე, მისწრაფება დაახლოვებისა ცხოველ კილოებთან, ე. ი. ისეთი თვისება, რომელიც, როგორიც უწინ ეგონათ, პირველად ქართულ მწერლობაში შეუტანიათ, ორი საუკუნის შემდეგ, საერო მწერლებსა.

ცხოვრების აღმწერს უფრო არსებითი ლიტურული შინაგანი ღირსება აქვს. ავტორსა აქვს ფართო გარსახედველი და თვითმყოფი ინტერესი ქვეყნისა, რომელიც გარს არტყია, მოყვრის თვალით უცქერის საწუთრო ცხოვრებას და მის ყოველგვარ წვრილმანსა, რაც საჩინოდ ექმნება, იმავ დროს კი აგიოგრაფიული მწერლობის ტრადიციონული ფორმების და შაბლონების გარეშე, გიორგი მერჩულის აღწერილობით სოფლისგან ქმნილი მოღვაწე ქართველები ტიპიური ფიგურებია ცხოვლად, ხანდახან სურათებრივ დახატული ადგილობრივი, კერძო, თუ საზოგადოებრივი ცხოვრების ფონზე და ადგილობრივი ბუნების ჩარჩოში ჩასმული. ბუნებას ხშირად ორი, სამი შტრიხით აგვიწერს ავტორი, მაგრამ ერთხელ უფრო წილადობილად აგვიწერა. აფხაზეთში გრ. ხანძთელმა და დიმიტრი მეფემ დაათვალიერეს ადგილი, სადაც უნდა აეშენებინათ მონასტერი, მაგრამ წმ. გრიგოლს არ მოეწონა და უთხრა მეფეს:

„არა არს მიწაჲ. არცა წყალი ქუეყანასა ამას. სადამცა მონასტერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

იქონია გავლენა, რაც ემჩნეოდა მის საპასუხო სიტყვას. ბ-ნი **ჩიკვაიძემ** სცადა დაერწმუნებინა რწმუნებულნი, რომ არა ჩვეულობრივ კრების მოწვევა გ. ზედამხედველი კომიტეტისა და გამგეობის უკანონო მოქმედებამ გამოიწვია და არა იმან, რომ იგი, დ. ჩიკვაიძე, დამფასებლად აღარ აირჩიეს, მაგრამ ვერავინ დაარწმუნა.

სიტყვა წარმოსთქვა ზედამხედველ კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ბ-ნმა **თ-დმა სოლ. მიქელაძემ**, საცა დაწვრილებით გაარჩი არაჩვეულებრივ კრების პროგრამ და ცხად ჰყო ის გარემოება, რო არც წამოყენებული კითხვა არ ჩვეულობრივს არაფერს წარმო დგენდა. მაშასადამე, კრების მოწვ ვაც მეტი იყოვო.

ამით დათავდა კრების პირვე დღე.

ქართული საღამო ბათუმში

14 იანვარს გამართულ მე-XIX ღამოს ჩვეულებრივზე მეტი საზოგადოება დაესწრო. აქ შეხვედრებოდი ინტელიგენციას, ნოქარს, მოვაჭრეს და სხვა ეროვნებასაც მრავალს. ეს ალბად ხელი შეუწყო **ელ. თარხნიშვილის** მოწვევამ.

პირველ განყოფილებაში **კავსაძის** ხორომ შეასრულა „გახსოვს ტრფავ“ და ქ-ნმა **თარხნიშვილმა** არია „მეფისტოფელიდან“ და რუსული „ბაიუშკი ბაიუ“, ხალხი აღტაცებით მიეგება მის ხმას და მეორე განყოფილებაში სთხოვეს ქართულად ემღერნა. მანაც შეასრულა ხალხის თხოვნა და იმღერა: „ნეტავი მას ვინც შენს ტკბილ ხმას“... რამაც დაუსრულებელი ტაშისცემა გამოიწვია.

კავსაძემ მეორე განყოფილებაში შეასრულა აკომპანიმენტად, ზნელეში „სალამური“, კარგი რომლიც იყო. სრულებით უყურადღებოდ დასტოვა ბ. კავსაძემ იმოდენა გამაყრუებელი ხმები „ურმული“, „ურმული“.

იმავე განყოფილებაში ბ. **ს. მგალობლიშვილს** უნდა წაეკითხა სცენები ქართლის ცხოვრებიდან მაგრამ ჩამობძანება არ ისურვა. მის მაგივრად დეპეშით ქუთაისიდან დ. მესხი დაიბარეს. მესხი მობრძანდა თორმეტის ნახევარზედა რამდენიმე სცენა წაიკითხა.

მესამე განყოფილებაში მხატვარმა პახომოვმა ცოცხალ სურათები დასდგა ვეფხის-ტყაოსნის მირთმევა თამარისადმი და თემო, ე. ი. ალავერდობა კახეთში. ორივე სურათმა მკრთალად ჩაიარა...

მეორევე განყოფილებაში ი. ჭავჭავაძის ლექსები „რაგვი“ და „გაზაფხული“ რუსულად საკმაოდ მგრძნობიერად წაიკითხა ქ-ნმა **კვეტლოვმა**.

ამ საღამოს შემოსავალი. როგორც ამბობენ, წინანდელ საღამოებისას ჭარბობს.

ერთი შენიშვნა კიდევ: პროგრამა დაბეჭდილი იყო სქელ ქაღალდზე, რომლის მეორე გვერდზე დახატული იყო მეფე, როდესაც შ. რუსთაველი მიართმევს ვეფხის ტყაოსანს“ ამ პროგრამისთვის ფასი ერთი მანეთი დაედოთ, რის გამოც ძალიან ცოტა გაიყიდა.

გიორგიძე.

მაღალი მნიშვნელობა დედა-კაცისა

დედა-კაცი დამთავრებული ქმნილებაა ზენასი, როგორც გონიერი და მეტყველი არსება. ღმერთს იმისთვის ქვეყნიერ ცხოვრებაში უპირატესობა მიუცია. იგია თავი და ბოლო ოჯახისა. მითი არსდება ოჯახი, დასაწყისი სკოლა მომავალ ჩამომავლობისა, სადაც იმათ უნდა კაცობრივი მიმართულება მიიღონ, შიში ღვთისა, ზრდილობა, პატიოსნება, ჭკუა-გონების განვითარება, სიყვარული სამშობლოსი და შრომისა შეითვისონ.

დედა-კაცს მთელ კაცობრიობის ცხოვრებაში დიდი მნიშვნელობა და გავლენა აქვს. თავისი კეთილ თვისებით დედა-კაცს შეუძლიან გააპატიოსნოს, გააბედნიეროს ოჯახი, საზოგადოება და სახელმწიფო, ან ყველა თავისი ბიწიერებით დაღუპოს ერი, ამოუფხვრას მას ძირი.

ოჯახი ბურჯია კაცობრიობის კეთილ-დღეობისა და წარმატებისა. ამის მაგალითს ჩინეთის სახელმწიფოც გვაძლევს. ჩინეთში ოთხას მილიონზე მეტი მკვიდრია. გამოჩენილი ფრანგი მწერალი **ჟულ სიმონი** სწერს, რომ ჩინეთის კეთილდღეობა დამყარებულია ოჯახის მკვიდრ-წესწყობილებაზედ.

დედა-კაცი თავისი მაღალი მნიშვნელობით უნდა იყოს წარმომადგენელი კაცთ სიყვარულისა, აზრისა, ყველა კეთილი თვისებისა და შვილებისათვის ყოველ კეთილის მაგალითი. ოჯახი არ უნდა იყოს საიდუმლო, დედ-მამამ კეთილ-ზნეობით უნდა მოიპოვონ ოჯახის ყველა წევრთა ნდობა, სიყვარული და თანაგრძნობა ამ მძიმე მოვალეობის შესრულებაში. მშობლები უნდა იყვნენ განვითარებულნი სწავლა-მეცნიერებით და ხელოვნებით. მარტო მაშინ დამკვიდრდება კაცთაშორის, საზოგადებაში და სახელმწიფოში მშვიდობა და სათნოება მაგრამ ყველა დედა-კაცი თავის მაღალ მნიშვნელობას ვერ ითვისებს; მაგალითად, ავიღოთ დედა-კაცი, რომელიც ჰგრძნობს თავის სილამაზეს, ის ცდილობს კეკლუცობით; მდიდარი ჩაცმა-დახურვით ყველას თავი მოაწონოს და სიამოვნებას მიეცეს. ამისთანა მიმართულებით იგი ამცირებს, თავის მაღალ მნიშვნელობას, ივიწყებს, რომ სილამაზე წარმავალია: წლოვანობა და ავად-მყოფობა კაცს სილამაზეს აცლის. ამ ვითარებით იგი დღითი-დღე სჭკნება, ჰკარგავს თანაგრძნობას და როგორც შემოდგომის ყვავილი, ჰქრება.

ასეთი მანდილოსანი, რა მოიგონებს თავის წარსულ ცხოვრებას—გაკვირვებული რჩება. იმან თავისი ცხოვრება მარტო თავისს სიამოვნებაში გაატარა და კაცთა ცხოვრებაში ვერა-რაიმე წვლილი ვერ შეიტანა. ქარა-ფშუტა, უაზრო ცხოვრებამ, დაადნო და გადააგვარა ცოცხალ-მკდარ ლეშად.

თუმცა ოჯახი შეირყა, შვილი დედ-მამას არ უგონებს, არ ემორჩილება, ქალი შვილებს, ქმარს თავს ანებებს, გარბის სხვასთან საცხოვრებლად, ქმარი ცოლს ეყრება და სხვა ფრივ ოჯახს სიმტკიცე ეცლება, მაგრამ უნდა გწამდეს, რომ იგი —გატანჯულ ცხოვრების შემდეგ— ფერს იცვლის და დაადგება ნამდვილ მკვიდრ ნიადაგსა; განათლებით მოიპოვებს ცოდნას, გაიგებს რა მკვიდრად და შეურყეველადაა მოწყობილი ინგლისში და გერმანიაში ოჯახი, მიჰბაძავს იმათ, დღითი-დღე შევა წარმატებაში, მოერიდება ფრანგებისაგან მოგონილ უწყურ-მაწყურ ჩაცმა დახურვას და ნამდვილად შეიგნებს, რომ ოჯახი, თავის კეთილ-მოწყობილებით, ბურჯია კაცთ მშვიდობიანი ცხოვრებისა და წარმატებისა.

ჩვენ გამოვთქვით ჩვენი აზრი დედა-კაცის მნიშვნელობაზე, მაგრამ ამ შემთხვევაში საყურადღებოდ ვცნობთ, მოვისმინოთ ამ საგანზე აზრიც გამოჩენილ სწავლულის, ექიმის, პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის პროფესორ **პეტრე ლესგაფტისა**, რომელმაც თავისი სიცოცხლე შეალია სწავლა-მეცნიერებას და ხალხის განათლებას.

პროფესორი ლესგაფტი, დამაარსებელი ქალების უნივერსიტეტისა ქ. პეტერბურგში, ამბობს:

„აღზრდა შვილისა დიდი, მძიმე და უწმიდესი საქმეა. ამიტომ დედა, ბავშვის აღზრდის დროს, პირადი თავისი სურვილით არ უნდა ხელმძღვანელობდეს. დედა უნდა მისდევდეს შვილის სურვილს, რადგანაც ამ სურვილში იხატება ბავშვის ბუნება. ოჯახში ბავშვს თვალთ მხედველობით ეძლევა პირველი შთაბეჭდილება და გრძნობა საგნისა. რადგანაც ამ შთაბეჭდილებისაგან არის დამოკიდებული იმის ჭკუა-გონების და ზნეობის განვითარება, ამისთვის დედმამას უნდა ჰქონდეს უპირველესი ყურადღება თავისი შინაურ მოქმედებაზე და ცხოვრებაზე. ბავშვი ოჯახში ყველაფერს ამჩნევს, ითვისებს წასულ-გაგონილს, იმეორებს მათ, ჰბაძავს და ცდილობს იგივე გააკეთოს. ამ პირველ ხანას ბავშვის აღზრდისას კაცის ცხოვრებაში დიდი მნიშვნელობა და გავლენა აქვს. ერთხელ ბავშვისაგან შეთვისებულ შთაბეჭდილებათ კარგისა და ავისა, მშობლები ვეღარ გამოაცლიან თავის შვილს ჭკუა-გონებიდან. ამ გარემოებით ირჩევა ბავშვების ბუნება, სხვა და სხვა ხასიათი და მიმართულება. ყველა ნახული და გაგონილი ოჯახში ბავშვს უღვიძებს გონებას და აღძრავს იმის თავში მრავალ კითხვას, რომლითაც მიჰმართავს მშობლებს. მზრუნველნი უნდა მომზადებულნი იყვნენ, რომ ყველა კითხვაზე გონივრულად და სწორი პასუხი მისცენ, აუხსნან. მშობლები უბრალოდ ეცდებიან მოაშორონ თავის შვილებს ის სიავე, რომელიც თავის ქცევით და ცხოვრებით თვითონვე გადაუციათ.

ლესგაფტი ამბობს: მიეცით ყმაწვილებს თავისუფლება, რომ იმათ თავისუფლად აწარმოვონ; მხოლოდ მშობლები მომზადებული უნდა იყვნენ ყველა კითხვაზე სწორე პასუხი მისცეთ. ბავშვი ყველა ნახულს თვალს ადევნებს, თითონ არჩევს საგანს, მსჯელობს და მერე-კი დედმამას შეასმენს თავის ნახულს, აზრს და ელი პასუხს.

პროფესორი ლესგაფტი წინააღმდეგია, რომ ბავშვების განსავითარებლად დედ-მამამ მიჰმართონ არაბუნებრივ ზომებს, რომელნიც მათ ვნებას აძლევს, მაგალითად, დასაჩუქრებას, გადაჭარბებით მიფერებას, დატუქსვას და ცემა-ტყეპას ამნაირი აღზრდა ბავშვს მგრძნობელობას უჩლუნგებს, ხშირად უმიზეზოდ აღონებს, აბოროტებს და ყველა ამას თან მისდევს სამწუხარო შედეგიც. მშობლები შვილის აღზრდის დროს ზნეობრივი საშუალებით უნდა სარგებლობდნენ და ხელმძღვანელობდნენ. ძალ-დატანება ბავშვს აკერპებს, აკაპასებს, უსუსტებს ჭკუა-გონებას და აზარმაცებს.

სიზარმაცე,—ლესგაფტის სიტყვით,—ბავშვის დასუსტებული მგრძნობელობის ნაყოფია, გამოწვეული დედმამისაგან. მას დაუჯერებლად მიაჩნია, რომ ჯან-მრთელი ბავშვი ზარმაცი იყოს. ალერსით, სიამოვნებით და გონივრულად ოჯახში გატარებული დრო ბავშვს ახალისებს, ამხნევებს და მეხსიერებას უმატებს. ამ რიგად ბავშვი განვითარებული მომზადებული ხდება და გადადის ოჯახიდან სკოლაში. მარტო გონებრივი განვითარება ბავშვს ვერ მოუტანს სიკეთეს, თუ მისი სხეული დასუსტებულია. ამისთვის სიყრმიდანვე ჭკუა-გონების განვითარებას თან უნდა სდევდეს ბავშვების სხეულის განვითარება-ვარჯიშობა. გიმნასტიკურ ვარჯიშობით ადამიანმა თავისი სხეული უნდა განავითაროს, იგი დაუმორჩილოს თავის ნება-სურვილს, გაჰხადოს სხლარტი და ძლიერი, რომ ნაკლებ დროს ბევრი გააკეთოს“.

ილია წინამძღვრიშვილი.

ალეშენა, რამეთუ ჯალანტი მონაზონისაჲ მარხვაჲ ას, და ამას მიწასა ზედა ვერ ეგ[illegible]ის მარხვაჲ სულისა გან ხორშაკ[illegible]ა მაკუდინებელისა“.

გამოთხოვებისას აფხაზთა მეფემ დიმიტრიმ დაწვრილებით გამოჰკითხა წმ. გრიგოლს ამბავი კლარჯეთის საყანე უდაბნოებისა, სცოდნოდა, თუ რითი იყო საჩინო სიითაოდ ის, თუ ის წმიდა ადგილი. მამა გრიგოლმა მოახსენა:

„ღმრთის-მსახურო მეფეო, გალაცათუ ფრიად განვამრავლო სიტყუაჲ. ვერვე [illegible] წუთების [illegible] ჩემი ყოველსა მას უდაბნოთა [illegible] სიკეთესა უწყებად შენდა. ვინათგან წესი მონაზონებისაჲ მათ შორის აღორძინებულ არს და უხრო[illegible] ყვაოდის და აღემატოს მამავათა ჟამთა. არამედ ვთქუა მრავლისაგან მცირედი ესრეთ. რამეთუ ბუნებით ერთ გუამ არს ქუეყანაჲ უდაბნოთა მათ:—

„და კეთილად შეზავებულ მზისაგან და ჰაერისა. რამეთუ არცა ფრიადი სიცხე შესწუავს მათ და არცა გარდარეული სიცივე [illegible] მყოფთა მისთა. არამედ [illegible] დგას თვსსა საზღვარსა უჭირობაჲ, უხორშაკოჲ, უმიწოჲ მზუალ, რამეთუ კაცთა ნახჱნი ფერკთი არაოდეს თიკიან ექნებიან [illegible] მათსა:—

„ხოლო წყალი კეთილი და შეზაჲ ნებისაებრ უნაკლულოჲ აქუს აღმოცენებული ქუშათა [illegible]შინა. ურიცხუ მდინარი და [illegible] წყალთა ჰამოთაჲ. ბუნებით ხიარულებაჲ მიცემულ არს ღმრთისაგან და არს იგი უგზო და მიუვალ რაჲთურთით სოფლისა წესითა მლოცვ[illegible]ბელთაგან. რამეთუ ღადოთა მთათა შინა მაღალთა არს მკვდრობ მათი, და მორტყმულ არს ერთ კერძო მთაჲ იგი და ერთკერძო შავშეთისა დიდთა წყალთა შეკრებისა გარემოსლვაჲ გარემოადგს ზღუდის სახედ უძრავისა:-

„და ესრეთ ყოვლითა კერძო შეზღუდვილ არიან მთათა მიერ და კევნებისა და წყალთა მათგან საშინელად ძნელოვანთა ადგილთა მავალთათჳს. და მონასტერთა მათ შინა არა არს სათიბელი ქუეყანაჲ, არცა ყანაჲ სანავი, არამედ დიდითა შრომითა როჳიკირა მისლვაჲ აქუს კარაულისა ზურგითა და მცირედ ვენაჲი ჰირით და ურვით დაუნერგვიან და ეგრეთვე მტილები. ხოლო მხალთა ველისათაჲ არს სიმრავლე ურიცხუ, და ამას ყოველსა თანა უშიშ არს გული მათი უქრისტოთა მათ ურწმუნოთაგან შერყევისაგან და ყოვლისა ძრვისა ჟამსა კელმწიფეთა მტერობისასა. და ესრეთ მრავლითა მშვდობითა მყუდროებით არიან ყოვლადვე და ქრისტესა ადიდებენ:-“

აგრეთვე არა კმარობს ავტორი ანჩელი ეპისკოპოსის ზაქარიას მოხდენილი სასწაულის აღწერას, იმ სასწაულისას, რომელიც შაშვს შემთხვია „და **იგივე ზაქარიასთჳს ჟამთა ჯდა ოდესმე ტბას თჳსთა ბაბილოთაჲ მწიფეთა ქვეშე, რომელთა მრავალ გზის შაშჳ ჭამდა. ხოლო ჯუარი დასწერა და მსწრაფლ მოკუდა. კუალად ჯუარი დასწერა და განცოცხლებული ფრინვიდა მოყუასთა თანავე თჳსთა**“.

პეტრე მირიანაშვილი.

(შემდეგი იქნება)

ლადო აღნიაშვილის ხსოვნას

ქვემორე ნაამბობი მოხდა 1880 თუ 1881 წ. გორის საოსტატო სემინარიაში, სადაც ვსწავლობდი უფროს მოსამზადებელ კლასში, (1 კლასში). ლადო აღნიაშვილი სწავლობდა უფროს კლასში. დირექტორად გორის საოსტატო სემინარიისა იყო დიმიტრი დიმიტრის ძე სემიონოვი —კაცი პატიოსნებით სავსე, განთქმული პედაგოგი, ლიბერალი. ეს ის დრო იყო, როდესაც ქართული სიმღერები დავიწყებას მიეცა და მიჰქრებოდა. საქართველოში აქა-იქ სოფლად თითო-ოროლა ძველმა თუ იცოდა ქართული სიმღერა, თორემ ყმაწვილ კაცობამ—არავინ. სიმღერისა და გალობის მასწავლებლად პატივსაცემმა სემიონოვმა მოიწვია აპოლლონ ცანციაშვილი, რომელსაც ჩვენი თავი, ყველა კლასის ქართველი მოწაფეები, დ. დ. სემიონოვმა ამ სიტყვებით ჩააბარა: „თქვენ, როგორც ქართველს, გეცოდინებათ ქართული სიმღერაც და გალობაც; ამიტომ მოვიწვიე ქართველი და არა რუსი, რომ ქართველ მომავალ მასწავლებლებს ასწავლოთ ქართული სიმღერა და გალობა, რათა ამათ, როდესაც ესენი [illegible]ბიან თავიანთ სამშობლო [illegible] სოფლებში, ხალხს ასწავლონ ქართული სიმღერა-გალობა“. ცანციაშვილმა შეგვასწავლა სიმღერები; „შენი ხვედრა ჩემო ვარდო“, „აგერ მერცხალი დაცეცქობს“ „გამოხმობა“, „შენ, ბიჭო, ახალციხელო“, და კიდევ რამდენიმე სხვა ევროპიული სიმღერა ქართულის ლექსით. კლასში ვმღეროდით კიდევ „მავლევ შენი შავი ჩოხა“, „ქართველო, ხელი ხმალს იკარ“, და „კურდღელი ჩამოცანცალდა“. ვგონებ, ეს სამი უკანასკნელი სიმღერაც სოფლიდანვე ვიცოდით. ეს იყო და ეს. ამაზე მეტი სიმღერა ცანციაშვილმა, რომელიც იმ დროს ითვლებოდა ქართულ სიმღერების მცოდნედ, ვერა გვასწავლა რა. როდესაც თავისუფლების დროს სკოლის ეზოში ვმღეროდით რუსულად თუ ქართულად, ჩვენი დირექტორი სიმღერაში ჩამოერეოდა ხოლმე და მეორე ტენორს ამბობდა მშვენიერის სუფთა ხმით. უყვარდა სიმღერა „კურდღელი ჩამოცანცალდა ფეხმოტეხილი საწყალი“. ეს სიმღერა შეისწავლა სემიონოვმა და მოძახილს ამბობდა.

ერთ დღეს საოსტატო სემინარიის მთლად ქართველი მოწაფეობა სემიონოვის განკარგულებით ერთს კლასში შევიკრიბენით. სულ ორმოცამდე მოწაფე ვიქნებოდით; იქ იყო ლადო აღნიაშვილიც.

„სამწუხარო ამბავი უნდა გიამბოთ“, „წუხელის გორის ქართველობამ ვახშამი გამართა. უნდა გითხრათ, რომ სიხარულით წაველი ვახშამზე; ვიფიქრე ქართველების ზნე-ჩვეულების ერთ მხარეს იქ ვნახამ მეთქი. სრულიად მოვტყუვდი და ნეტავი არ წავსულიყავ და სამწუხარო ამბავი არ მენახა. ქართველურს გულუხვობა ისევ შეგრჩენიათ, მაგრამ უპირველესი ნიშან-წყალი ქართველობისა ცოტა ღა გაქვთ შერჩენილი და თუ არ ეცადეთ, ეგეც მალე გადაგეცლებათ და მაშინ აღარ გეწოდებათ სახელი „ქართველი“.

ვახშმად რუსული საჭმელები იყო დამზადებული, ალბად ჩემს სასიამოვნოდ. მე კი მეგონა ქართველების ვახშამზე ყველაფერი ქართული იქნებოდა. მრავალ-ჟამიერი ერთი ორჯელ რომ ვთქვით, მერე რუსული სიმღერა დაიწყეს. „ვნიზ პო მატუშკე“ და სხვა. შემდეგ ქართველებს ვთხოვე ქართულად ემღერათ, მაგრამ ქართველებმა, გაიგონეთ, ქართველებმა ქართულად ვერ იმღერეს. ოცმა ქართველმა ერთი ქართული სიმღერა ვერ მოახერხა, მაშინ ვუთხარი ქართველებს. თუ თქვენ, ქართველებმა, არ იცით ქართული სიმღერა. მე-რუსი-ვიმღერ ქართულად „კურდღელი ჩამოცანცალდა“—და დავიწყე. მომცა ხმა ერთად ერთმა სოფრონ მგალობლიშვილმა ასე თუ ისე. მაგრამ შემიძლიან ვთქვა, რომ თქვენ ქართველებს ქართული სიმღერა აღარა გცოდნიათ, დაგვიწყებიათ; ეს უმთავრესთაგანი ხაზი ქართული ნიშანწყლობისა გადაგცლიათ; ჩაცმა-დახურვაზე ქართველობისა არა გეტყობათ რა; ენის შესახებაც ვინ იცის, იქმნება ისეა წარყვნილი, რომ ქართულს აღარა ჰგავდეს. ვახშამზე კარგად დავაწითლე თქვენი ქართველები და ახლა თქვენც იმიტომ დაგიბარეთ, რომ თქვენც იცოდეთ ჩემი აზრი ქართველების შესახებ“.

აქ მოჰყვა დიმიტრი დიმიტრის ძე ჯერ რიგიანად დაგვლანძღა, რომ ქართველობა გვინდა და ქართული ზნე-ჩვეულება დაგვკარგნია და ქართველობისა არა გვეტყობა რა. შემდეგ მოჰყვა თავისებურ მჭევრმეტყველურად ჩვენ მომავალ მოვალეობის შესახებ ქადაგებას. აგვიწერა ქართველების მდგომარეობა და სოფლის მასწავლებლის მოვალეობა. ახსენა ერი, რომელიც დაღუპვისაგან იხსნა სოფლის მასწავლებელმა. დიდხანს გველაპარაკა ამ თემაზე. დაგვტოვა თავ-დაქინდრულები და დაფიქრებულები. არა მგონია თუ ვინმე ჩვენთაგანმა არ ჩაისახა გულში ის აზრი, რაც ორი-სამი წუთის წინ გავიგონეთ საოცარ ადამიანისაგან. მაგრამ მისმა სიტყვებმა ჰპოვა ნაყოფიერი ნიადაგი მხოლოდ ერთის გულში და ეს გული იყო ლადო აღნიაშვილისა. „ქართველებს ქართული სიმღერა დავიწყებიათ, აღარც ჩაცმულობაზე გეტყობათ ქართველობა და ენაც, ვინ იცის, იქმნება ისიც ისეა წარყვნილი, რომ ქართულს აღარა ჰგავსო“—მწვავედ მოგვხვდა გულში, მაგრამ მარტო ლადო აღნიაშვილს დააჩნდა დაღად. საოსტატო სემინარიის კურსის დამთავრების შემდეგ ის მოქმედობს: დადის სოფლიდან სოფლად, ან იწვევს ძველ ქართველ მომღერლებს და მცოდნე პირებს აწერინებს სიმღერებს ნოტებზე. შემდეგ ადგენს მომღერალთა გუნდს და ქართულ ნაციონალურს ტანისამოსში ჩაცმული მომღერალთა გუნდით დადის საქართველოს დაბა-სოფლებში სამღერლად. პირველად გუნდი ამღერა ქ. ტფილისში 1886 წ. გიორგობისთვის 15. ქართულმა სიმღერამ კვლავ გაიდგა ფესვი ქართველთა შორის, გაჩნდა მომღერალთა გუნდები. გვყვანან ლოტბარები, მუსიკის მცოდნენი.

ივანე ავალიშვილი.

თიანეთის მაზრა.

წერილი მეორე.

თუშები. პირველ წერილში მოკლედ მქონდა ნათქვამი ხევსურების ზნე-ჩვეულებაზე, მათ ეკონომიურ მდგომარეობაზე და კულტურაზე. ამ წერილში მინდა შევეხო თუშებს. თუშები დასახლებულნი არიან ალაზნის მარცხენა ნაპირზე და უფრო თელავის მაზრას უნდა ეკუთვნოდნენ, ვიდრე თიანეთისას, რადგანაც თელავიდან თუშეთამდის 15 ვერ., თიანეთიდან კი 35—40 ვერ.

თუშები რიცხვით 1,200 კომლია და რვა სამამასახლისოდ და ორ ჯგუფად განიყოფებიან. ერთ ჯგუფსა და სამამასახლისოს შეადგენენ წოვა თუშები, რიცხვით 400 კომლი და ზემო ალვანში სცხოვრობენ. მეორე ჯგუფსა და შვიდ საზოგადოებას შეადგენენ ჩაღმა თემები, რიცხვით 800 კომლი, ქვემო ალვანში სცხოვრობენ. ზემო და ქვემო ალვანი ერთმანეთისგან 8 ვერსის მანძილზე არის დაშორებული. უფრო პროვინციებად უნდა ჩაითვალოს, ვიდრე სოფლებად, რადგანაც თვითონვე იყოფებიან პატარ-პატარა სოფლებად. თუშების ამგვარ ჯგუფობრივ დაყოფაზე დღესაც ასეთი გარდმოცემა არის დარჩენილი თუშებში: წოვა თუშები ძველად, თურმე, ღლიღვები, ანუ დღევანდელი ქისტები ყოფილან. მოსახლობდნენ დაღესტანში, თუშების მთების მახლობლად, სადაც ზაფხულობით ჩაღმა თუშებს აუარებელი ცხვარი და საქონელი მიუდიოდა საბალახოთ და თითონაც იქ მოსახლობენ. აქედგან ეს ღლიღვები, ანუ დღევანდელი წოვა თუშები [illegible] ბარად ჩაღმა თუშების [illegible] და თვით კახეთში[illegible] ცხვარსა და საქონელს, არბევდნენ ხალხს და ხან ტყვეებიც კი მიუდიოდათ. მოთმინებიდან გამოსულმა ჩაღმა თუშებმა გადასწყვიტეს სამუდამოდ ბოლო მოეღოთ ღლიღვების ამგვარ თავხედობისთვის და მოსვენებით ეცხოვრათ. ამიტომ შეიკრიბნენ, გადავიდნენ დაღისტანში, აჰყარეს ღლიღვები თავიანთ მიწა-წყლიდან, გადმორეკეს კახეთში და თავიანთ მეზობლად ზემო ალვანში დაასახლეს, შემდეგში ამათ აქ ქრისტიანობაც მიაღებინეს. თუ დაახლოვებით რომელ საუკუნეში მოხდა ეს, ამას, მე მგონი, ჩვენ მემატიანეში ვიპოვნით: რომ ეს გადმოცემა სიმართლეს მოკლებული არ უნდა იყოს, ამის მოწმე ისიც არის, რომ წოვა თუშები დღესაც ქართული ენის გარდა ღლიღურათაც ლაპარაკობენ და მისვლა-მოსვლა აქვთ პანკისის ხეობაში მოსახლე ქისტებთან, რომელნიც ამათ გასაგებ ენაზედ ლაპარაკობენ. წოვა თუშების ქალები და ბავშვები ხომ ან სულ არა ლაპარაკობენ ქართულად და ან ძალიან ცუდად, როდესაც კი მომხდენია იმათთან ლაპარაკი. თარჯიმანად უეჭველად დედ-მამა უნდა ჩაერიოს. ჩაღმა თუშები კი მარტო ქართულ ენაზედ ლაპარაკობენ და ღლიღურად მარტო იმათ იციან, ვინც წოვების მეზობლები არიან. იმის გარდა, რომ თუშებს ალაზნის პირად უჭირავთ საკმაო სახნავ-სათესი და საძოვარი, კიდევ დაღისტნის საზღვრებზედაც დაუსაკუთრებიათ დიდი მთა, რომელიც შემკულია თავის ტყეებითა და საძოვრებით. რაკი თუშები, როგორც მწყემსი ხალხი, მთაბარობენ, ამიტომ როგორც ბარათა აქვთ სახლ-კარი, ისე მთაში. მთაში მშვენიერი ქვიტკირის სახლები აქვთ, რომელსაც ლეკებს აშენებინებენ, ბარად კი განსაკუთრებით ქდეული ხისა. მამულის სიუხვე თუშებს საშუალებას აძლევს მრავლად მოაშენონ ცხვარი, და აკი ესეც შეადგენს ამის ცხოვრების წყაროს. თუში უხვათა ჰყიდის მატყლს, ყველს და ერბოს. ქონებრივად თუში იმდენად დაკმაყოფილებულია, რომ ამათში ძნელად შეხვდებით უმწეო-უქონელს, როგორც ბარში. ხშირად ხომ ისეთებსაც ნახავთ, რომელსაც 3 ან 5 ათასი თუმანი ბანკში აქვს და 8000—10,000 სული ცხვარსაც გამორეკავს. ეკონომიურად დაკმაყოფილებულ თუშს სწავლისთვისაც ჯეროვანი ყურადღება მიუქცევია. ძნელად შეხვდებით თუშს, რომ წერა-კითხვა არ იცოდეს. თუშებს მრავლათა ჰყავთ როგორც საშუალო ისე უმაღლეს სწავლა მიღებული. ამათში ისეთებსაც შეხვდებით, რომელსაც საშუალო სასწავლებელი დაუმთავრებია, მობრუნებულა სახლში და მეოჯახობას მისდევს, ან, სწორედ რომ ვთქვათ, ცხვარს მისდევს. რასაკვირველია, ამისთანა პირებს საქმეც კარგად მიჰყავთ, რადგანაც ამათისე ვეღარა სძარცვავენ დღევანდელი ჩარჩ-ბაცაცები, როგორც სხვა მწყემს ხალხს. თუში მომეტებულად შესანიშნავია ოჯახში. სად და ვინ უნდა იყოს ისეთი მამულისა და სახლ-კარის მოყვარე, როგორც თუში. რაც უნდა შორს იყოს თუში გადახვეწილი, იმდენს ეცდება, რომ წელიწადში ერთხელ მაინც დახედავს თავის მიდამოს. ძველადვე განთქმულები იყვნენ თუშის ქალები როგორც თავის სილამაზით, აგრეთვე თავის შეურყეველი ზნეობით. იქნება ამის მიზეზიც იყოს, რომ თუშს სასტიკადა აქვს აკრძალული არა თუშის ქალის შერთვა. შენი მტერი, თუ თუშმა გაბედა სხვა ქალის შერთვა. ამას ხომ არც სახლში შეუშვებენ და აღარც მონათესავები მიიღებენ. ამის გამო ნახავთ, უმაღლეს სწავლა დამთავრებულ თუშს — მოსულა, ან სრულიად უსწავლელი და ან სოფლის სკოლაში გამოზრდილი თუშის ქალი შეურთავს. როგორც უფრო კულტურულ ელემენტს, თუშს ქალი ისე არა ჰყავს შებორკილი, როგორც ხევსურებს და ან სხვა მთის ხალხს, არც თუ კაცია თუშის ქალზედ ნაკლებად ყველაფრით შემკული. გაურყვნელი, ცოლ-შვილის მოყვარე, ულოთარი და გამსჯელი. მართალია, ლაღი მთის შვილს ისეთი მძიმე საქმე არ ეხერხება, როგორც ბარის გლეხს, მაგრამ თავის ცხვრით ეკონომიურად ყველასთვის გაუსწვრიათ. როგორც

სწავლა, აგრეთვე ნასწავლი ხალხის ყურისგდებაც უყვარს თუშს. ეხლა, მაგალითად, შეგნებული ხალხის მეთაურობით, თუშებმა შეჰკრიფეს ფული და ყიდულობენ სამხერხაო მანქანას, აგრეთვე აშენებენ ორთქლით სამუშაო წისქვილს. მაგის გარდა გადაწყვეტილი აქვთ გეგმაზედ სოფლესის აშენება და ელექტრონით განათება. ყველა ეს არც გაუჭირდება თუშს, თუ რომ ხეირიანი ხალხი ჩაუდგება სათავეში. დიდი ხელსაყრელი იქნება თუშებისთვის, რომ მოახერხონ და დაარსონ ყველისა და მატყლის საწყობი, რათა ამგვარად თვითონვე გამოიტანონ თავიანთი ნაშრომი ბაზარში. ამითი თუშები არამც თუ თავიანთ ნაწარმოებს გაჰყიდიან ერთი-ორად, არამედ იმ შეუგნებელ მწყემსებსაც დაიხსნიან სოფლის წურბელებისგან, რომელნიც ერთხელ მიჰკოწიწებიან საწყალ ხალხს კისერში და აღარ ეშვებიან. თუშებისთვის არც ისე ძნელია ამისთანა საწყობის დაარსება, რადგანაც ფული თითონვე მოეძებნებათ და სასესხებლად არავისთან მოუხდებათ მისვლა. საჭიროა მხოლოდ ხალხი, რომელიც ამ საქმეს ჩაუდგება სათავეში და რიგიან გზაზედ დააყენებს. ამ შემთხვევაში რჩევისთვის თუშებს შეუძლიანთ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას მიჰმართონ და შესაფერ რჩევა-დარიგებასაც მიიღებენ.

დეგოთელი.

ბინის საკითხი დ. ჭიათურაში.

თუ რამდენად გამწვავებულია ბინის საკითხი დ. ჭიათურაში ეს ყველა ჩვენგანმა კარგად იცის. საზოგადოდ უნდა ვთქვა, რომ ყველა სამრეწველო რაიონებში ბინისა და სანოვაგის საკითხი მეტად მწვავე საკითხად არის გადაქცეული. სამრეწველო რაიონები უმეტეს შემთხვევაში დაშორებულნი არიან დიდ ცენტრებს. მიწის ფასს და სანოვაგის ფასს ასწევენ ხოლმე მაშინ, როდესაც მუშაობა ჩვეულებრივზე მეტია, სახლების რაოდნობა იშვიათად მატულობს და ჭიათურის სამრეწველო რაიონი კი დღითი დღე იზრდება. ყოველმა სახლის პატრონმა იცის, რომ თუ დღეს რომელიმე სამრეწველო რაიონი ჰყვავის, მადნის მოსპობის შემდეგ ყველაფერი ჰკარგავს თავის ფასს, და ეს ადგილი უბრუნდება პირველ ყოფილ ხანას. ამიტომაცაა, რომ საზოგადოდ სამრეწველო რაიონებში და კერძოდ კი ჭიათურაში სახლების აშენებას უფრო დროებითი ხასიათი აქვს. უნდათ რაც შეიძლება ნაკლები დაახარჯონ და მეტი გამორჩენა ჰქონდეთ. შეიძლება თვით დიდ ცენტრებში, როგორც ტფილისში, ბაქოში და სხვაგან ისე არ იყოს სახლის ქირა აწეული, როგორც აქ. მეორეს მხრივ იმნაირ თბილ და მოწყობილ ოთახებს ვერ შეჰხვდებით, როგორც სხვა ქალაქებში. ამას გარდა ყოველი სახლის პატრონი სცდილობს, რომ თავისი სახლი მიაქირაოს კანტორად რომელიმე ფირმას, რადგანაც ისინი უფრო დიდ ფასს მისცემენ, შეალამაზებენ, შეაკეთებენ თავიანთ გემოზე, გაიყვანენ წყალს, მოაწყობენ ელექტრონით განათებას და სხვა. შესაძლო იქნება, რომ თვით სახლის პატრონმა იშოვოს შიგ რაიმე სამსახური. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ კერძო კაცზე ისე არ აქირავებენ, როგორც რომელიმე ფირმაზე. თუ სხვა ქალაქში სახლის გათბობაზე 40 მან. დაიხარჯება, აქ კი ხან 2—3 ჯერ მეტი სახლის უვარგისობის გამო. ჭიათურაში ადგილობრივნი მცხოვრებნი ძალიან ცოტანი მოიპოვებიან. აქ არიან სულ მოსამსახურენი სხვა და სხვა ფირმებისა და შავი ქვის მრეწველთა საბჭოსი. კარგი იქნება თუ შავი ქვის მრეწველთა საბჭო სხვა გვარ შეღავათ პირობებთან ერთად, ერთხელ კიდევ აღძრავდეს საკითხს თავის მოსამსახურეთა ბინების გასაუმჯობესებლად.

X.

ინგლისელი სტუმრები რუსეთი

(დეპეშები)

პეტერბურგი. პეტერბურგში ყოფნის უკანასკნელ დღეს ინგლისელი სტუმრები საუზმეზე მიიწვიეს ლეიბგვარდიის ცხენოსან პოლკის აფიცერთა საკრებულოში.

ინგლისელ სტუმართ ქალთა უმაღლეს კურსების მისალმების საპასუხოდ ლედი სპოსერმა სიტყვა წარმოსთქვა, რომელშიაც როგორც 8 შვილის დედამ, აღნიშნა, არაფერი არ უწყობს ისე ხელს კულტურულ განვითარებას, როგორც კულტუროსანი დედა-კაცი.

საღამოზე სტუმრების მიმღებმა კომიტეტმა სადილი გაუმართა მიმავალ ინგლისელ სტუმრებს. სიტყვები წარმოსთქვეს საბჭოს წევრებმა ერმოლოვმა და ბალაშოვმა და აკადემიკოსმა გოლიცინმა. მათ უპასუხა უერდელმა.

ჩინეთის რევოლუცია

დეპეშები.

მუკდენი. გენერალ-გუბერნატორმა დეპეშით გამოიწვია გირინისა და ციციკარის საბჭოთა კომიტეტის თავმჯდომარენი. მათ მონაწილეობა უნდა მიიღონ სარევოლუციო მოძრაობასა და ხუნხუზებთან საბრძოლველად ზომების შემუშავებაში. აქ ამბავი მოვიდა, ხუნხუზები იტუნჩაოუსა და ინკოუსთან შეგროვდნენო.

ტროიცკოსავსკი. ურგას მიმავალმა ქულუნ-ბუირის რაიონის დეპუტაციამ კიახტაზე გაიარა. მათ ხუტუხტას უნდა სთხოვონ, ქაილარი ოლქი დამოუკიდებელ ჩრდილოეთ მონგოლეთს შეუერთეო.

კულჯა. ცზინხესთან რევოლუციონერებმა მთავრობის ჯარი დაამარცხეს. ბევრი დასჰრეს და დახოცეს. მოკლულია მხოლოდ 1 რევოლუციონერი, დაჭრილია 7.

კაშგარი. კულჯის აჯანყებამ აქაური ჩინელი მოხელეები ძალიან შეაშფოთა. ჩინელები ერთის თვის სამყოფ სურსათსა და სანოვაგეს ყიდულობენ.

მუკდენი. პოლიცია ყველა ახლად მოსულებს აპატიმრებს, განსაკუთრებით იმ ჩინელებს, ვისაც თმა მოუკრეჭია. ჩამოახრჩვეს ბევრი სტუდენტი, პეკინში სკოლათა დაკეტვის გამო აქეთკენ წამოსული. იაპონიის კონსულმა ძლივს გადაარჩინა სიკვდილს ოთხი იაპონელი, რომელიც უთმო გადაცმული, ჩინელი ჰგონებოდათ.

ჩიფუ. აქაურმა ვაჭრებმა იამინში გუბერნატორი ტუ დააპატიმრეს და მის მაგივრად ჰსურთ სიმაგრის კომენდანტი დანიშნონ. რადგან ურუმცსა და კულჯაში არეულობაა. ინგლისის კონსულმა ინდოეთიდან ჯარი დაიბარა საკონსულოსა და ინგლისელთა დასაცავად.

პეკინი. [illegible] ლიამბი, რომელსაც ამას წინად ყუმბარა ესროლეს, სისხლით დაიცალა და გარდაიცვალა.

გაზეთებიდან.

მეფის გადადგომის გადადება.

მეფის გადადგომის საბოლოოდ გადაწყვეტა საეროვნო კრების მოწვევამდე გადასდეს.

სამხედრო ლიგის წევრები ბრძოლის განახლებას ჰქადაგებენ და ამბობენ, მეამბოხენი არ უნდა დავინდოთო. იუანშიკაი წინააღმდეგია ბრძოლის დაწყებისა, რადგან, მისის რწმენით, რევოლუციონერები თვითონ არ დაესხმიან მთავრობის ჯარსაო.

გაზეთების აზრით, მთავრობის მანიფესტი, რომელშიაც ნათქვამია, მეფის უფლების საკითხი საეროვნო კრებამ უნდა გადასწყვიტოსო, ბრძოლის განახლებასა და რესპუბლიკელების გმობას უდრის.

მთავრობამ ხალხს გამოუცხადა, ეცადეთ ამაღელვებელი ხმები არ გაავრცელოთ ხოლმეო.

— გენერალ ჩანგის მეთაურობით დაარსდა სამხედრო ლიგა, სადაც უმეტესობა ჩრდილოეთის ჯარის აფიცრობაა. ლიგამ მეფესა და დედოფალს ჩააბარა მემორანდუმი, რომელშიაც ნათქვამია: თავის დღეში ვერ დავთანხმდებით ჩინეთში რესპუბლიკის შემოღებას, ჩინეთი სამუდამოდ კონსტიტუციანი მონარქია უნდა იყვესო.

ლიგის წევრები ჰფიქრობენ, ვითომც იუანშიკაი განგებ აგვიანებდეს ბრძოლის დაწყებას.

— იუანშიკაის, როგორც ვიცით, მარკიზობა უბოძეს. იგი რეგენტად ნამყოფმა და ბატონიშვილებმა ინახულეს და მარკიზობა მიულოცეს.

იტალია-ოსმალეთის ომი

დეპეშები.

მარსელი. „მანუბაზე“ დატყვევებული 29 ოსმალი გემით „სენტ-ოგუსტინი“ საღამოს ლეფრიულს მოვიდა.

ტობრუკი. 16 იანვარს ოსმალთა და არაბთა ბრბო იტალიელთა სიმაგრეებს დაეცა. თავდამსხმელნი უკუ აქციეს.

რომი. „სტეფანის“ ატყობინებენ ბენგაზიდან, იტალიის მხედრებმა დაიფრინეს რამდენიმე ასეული ბედუინი და დიდადაც დააზარალეს. იტალიელები არ დაზარალებულან.

ვენა. არაბულ გაზეთებში დაბეჭდილია მათი მეთაურის საქარ სენუსის მოწოდება. იგი ყველას მოუწოდებს ისლამის მოწინააღმდეგეებთან საბრძოლველად.

გაზეთებიდან.

გენ. კანევას მოწოდება.

მალტაში მიუღიათ გენერალ კანევას მოწოდება არაბებისადმი, მოწოდებას მფრინავები ავრცელებდნენ:

„რაღას უყურებთო, ამბობს კანევა, განა მართლა არა გაქვთ სურვილი მეჩითებში მშვიდობიანად ჰლოცულობდეთ, ოჯახში ტკბილად ატარებდეთ დროს, წყნარად მწყრიდეთ თქვენს ჯოგსა და ფარა, არხეინად აწარმოებდეთ ვაჭრობას? იტალია— მამაა თქვენი, რომელმაც თქვენი დედა-ტრიპოლი-შეირთო. ვინც ჩვენს მხარეს გადმოვა და იარაღს ჩაგვაბარებს, ოქროსა და სურსათს მიიღებს. ალაჰს ვთხოვ, აგვიხილოთ თვალი და ჭეშმარიტება შეგვგნებინოთ“. ეს მოწოდება ყოფილა საბაბი გენერალ კანევას დათხოვნისა.

დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტო)

საზღვარ-გარედ.

17 იანვარი.

ლისაბონი. დეპოდან ტრამვაის ვაგონები ჯარის მცველობით გამოიყვანეს, მაგრამ გაფიცულნი დაეცნენ და იძულებულ ჰყვეს უკან დაებრუნებინათ. მთავრობამ გადასწყვიტა სასტიკი ზომები მიიღოს გაფიცვის ჩასაქრობად. გაფიცულნი არიან სტამბის მუშებიც და გაზეთების გამოსვლას ხელს უშლიან. გაფიცულებმა მოწოდება გამოსცეს, მოითხოვენ ყველა დაპატიმრებულთა განთავისუფლებას და გუბერნატორ ევორას დათხოვნას. თეატრები დაკეტილია. გაფიცულები მუშაობის მსურველთ ხელს უშლიან. რამდენიმე ვაგონი ყუმბარით [illegible] ქუჩაში და განსაკუთრებ[illegible] სინდიკატებთან [illegible] რაზმები სდგანან.

რიო-დე-ჟანეირო. წესიერება აღადგინეს.

პარიზი. სახალხო განათლების კომისიამ მოისმინა რეინაკის მოხსენება სალიტერატურო საკუთრების დაცვის უზრუნველყოფისათვის შემუშავებულ საფრანგეთ-რუსეთის კონვენციისა.

სტამბოლი. როდოსიშტში, უკიუბს ახლო, ყუმბარით 8 ჟანდარმი მოჰკლეს. დაჭრილიც ბევრია.

ვენა. რუსთა ეროვნულმა პარტიამ დეპუტატ მარკოვის ხელით შინაგან საქმეთა მინისტრს მოხსენება გადასცა გალიციაში რუსთა დევნის თაობაზე.

პარიზი. დეპუტატთა პალატაში, როდესაც პრეზიდენტი ადაპტიტუნისის კონცესიის თაობაზე მთავრობის სახელით განმარტებას იძლეოდა, უცებ გული წაუვიდა და გრძნობა დაჰკარგა. სხდომა შესწყვიტეს.

ლისაბონი. მაღაზიები გაიღო, მაგრამ ვაჭრობა მინელებულია. ტრამვაი ჯარის მცველობით მუშაობს. კოიმბრში გაფიცულია მხოლოდ ერთი ნაწილი მუშებსა.

რუსეთი.

პეტერბურგი. უმაღლესად დამტკიცებულ უწმ. სინოდის დადგენილებით ბერ-მონაზონი **ილიოდორე** ვლადიმერის ეპარქიის ფლორიშჩევის უდაბნოში გადაიყვანეს და როგორც სარატოვის ეპარქიასა, ისე ორთავ სატახტო ქალაქში ცხოვრება აუკრძალეს.

ეპისკოპოს გერმოგენს უმაღლესი ნებისა და უწმ. სინოდის წინადადებით აუსრულებლობის გამო პეტერბურგი უნდა დაეტოვებინა, დათხოვნილ იქმნა სარატოვის ეპარქიის მართველობისაგან და საცხოვრებლად გროდნის ეპარქიის ჟიროვიცკის მონასტერში გაჰგზავნეს.

სარატოვის ეპისკოპოსად **ეპისკოპოსი ალექსი** დანიშნეს.

რიგა. მიუნდელის ქარხანაში დაიწვა კალოშების საწყობი. ზარალი 100000 მანეთს აღემატება.

პეტერბურგი. ყადაღა დაადევს გაზეთებს: „სვეტისა“ და „პეტერბურგის გეროლდის“ 17 იანვრის ნომრებს.

გრაფ ლევ ტოლსტოის ქვრივს უმაღლესად წელიწადში 10000 მანეთი პენსია დაენიშნა.

წერილი რედ. მიმართ

ბატონო რედაქტორო! გაახლებთ რა ორ მანეთსა და ათ შაურს, უმორჩილესად გთხოვთ, გადასცეთ იგი „განათლების“ რედაქციას, რათა მან კეთილ ინებოს და ამ წლის თავისი გამოცემა უგზავნოს ს. კავთისხევის წიგნთსაცავ-სამკითხველოს*).

თქვენი პატივის მცემელი **ვანო გიუნაშვილი.**

ბ-ნო რედაქტორო! გთხოვთ უმორჩილესად ეს ძველი ფულები გარდასცეთ, ქართულ საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებას მუზეუმისათვის**). თუმცა მცირე შემოწირულებაა, მაგრამ, იმედია, არ დაიწუნებთ.

რითაც დავშთები დიდად პატივცემული **ვალერია ნიკოლოზის ასული ტორჩინავასი.**

*) რედაქციამ მიიღო ხსენებული ფული და დანიშნულებისამებრ გადასცა. **რედ.**

**) რედაქციამ მიიღო ორი ძველი რუსული შავი ფული და დანიშნულებისამებრ გადასცა.

რედაქტორ-გამომცემელი ნ. ქურდღელაშვილი.

გამოსადეგი ცნობა

მატარებელთა მიმოსვლა

ზამთრობით (15 ოქტომბრიდან 1911 წ.) (დრო ტფილის. საათითაა ნაჩვენები, რომელიც პეტერბურგისაზე 58 წ. არის წინ).

ტფილისიდან გადის.

ბათუმისაკენ: 1) სამგზავრ. მატარ. № 7, I—II კლ., საღ. 10 ს. 38 წ., გორში 1 ს. 25 წ., მიხაილოვში 3 ს. 8 წ., რიონში დილ. 7 ს. 52 წ., ბათუმში 1 ს. 42 წ.

2) სამგზ. მატ. № 5, I—III კლ. საღ. 5. ს. 45 წ., გორში 8 ს. 24 წ., მიხაილოვში 9 ს. 51 წ., რიონში 1 ს. 54 წ., ბათუმში დილის 6 საათ. 26 წ.

3) საფოსტო მატ. დილ. 9 ს. 50 წ., გორში 12 ს. 27 წ., მიხაილოვში 1 ს. 56 წ., რიონში დილ. 6 ს. 17 წ., ბათუმში 11 ს. 13 წ.

ბაქოსაკენ: 1) ჩქარი მატ. № 2, I—III კლ. დილ. 10 ს. 20 წ., განჯაში 3 ს. 18 წ., ბალაჯარში ღამ. 11 ს. 16 წ., ბაქოში 11 ს. 43 წ.

2) სამგზ. მატ, № 6, I—II კლ. დღ. 3 ს. 38 წ., განჯაში ღამ. 9 ს. 46 წ., ბალაჯარაში დილ. 7 ს. 34 წ., ბაქოში 8 ს. 11 წ.

3) საფოსტო მატ. № 4, I—III კლ. ღამ. 1 ს. 8 წ., განჯაში 5 ს. 29 წ., ბალაჯარაში დღ. 3 ს. 30 წ., ბაქოში 4 ს. 42 წ.

4) შერეულ. მატ. № 106, IV—III კლ. დილ. 5 ს. 32 წ., განჯაში 2 ს. 57 წ., ბალაჯარაში დილ. 5 ს. 8 წ., ბაქოში 7 ს. 12 წ.

ბორჯომისაკენ: 1) სამგზ. მატარებ. № 9/6ხ, I—II კლ, დღ. 3 ს. 23 წ., ბორჯომში 9 ს. 2 წ.

ჯულფასა და ერევნისაკენ: 1) საფოსტო მატ. № 74/75, I—III კლ. საღ. 1 ს. 48 წ. ჯულფაში მეორე დღის საღ. 1 ს. 10 წ.

2) სამგზ.-საქონლ. მატარ. № 78—79, II—III კლ. დღ. 5 ს. 34 წ., ერევანში დილის 11 ს. 6 წ.

ტფილისში მოდის.

ბათომიდან; 1) სამგზ. № 6, I—III კლ. 2 ს. 50 ს. საფოსტ. № 4, I—III კლ. დილ. 10 ს. 28 წ. 3) სამგზ. № 8, II—III კლ. დილ. 5 ს. 33 წ.

ბაქოდან: 1) სამგზ. № 5, I—II კლის. საღ. 5 ს. 7 წ. 2) საფოსტ. № 3, I—III კლ. დილის 8 ს. 54 წ. 3) ჩქარი № 1, I—III კლ. ღამ. 9 ს. 56 წ. 4) შერეული № 107, V—II კლ. ღამის 9 ს.

ერევან-ჯულფიდან: საფოსტო მატ. № 72/73, I—III კლ. 8 ს. 25 წ. 2) სამგზავ.-საქონ. № 80/81, II და III კლ. დღ. [illegible] ს. 40 წ.

ბორჯომიდან: სამგზ. № 61/ 0, I—II კლ, დილ. 8 ს.

შენიშვნები; 1) გადაუჯდომლად პირდაპირ მგზავრობა ტფილის-ბაქო-როსტოვამდე შეიძლება განსაკუთრებულ ვაგონებით, რომელიც ამიერ-კავკასიის 1 და მე-2 მატარებელს მისდევს, ხოლო კავკასიის მატ. მე-5 და მე-6. ყველა ვაგონები პლაცკარტითაა (საკუთარ. საწოლებით).

უფასო საექიმო დახმარება

ქალაქის საბჭოს ექიმები.

უბნები	
1—2	**გ. ა. გედევანოვი** (სდგას ვერაზე, ოლგის ქუჩა, 22. ტელეფ. 592).
3—4	**მ. ი. შავერდოვი** (ფეთხაინის აღმართზე, 1, ტელ. 619).
5—6	**ტ. მ. თათეოსიანი** (ველიამინოვის, 4, ტელეფ. 680).
6—7	**შ. ა. მიქელაძე** (ავლაბარში, კახეთის ქ., 1, ტელ. 816).
8—9	**ნ. დ. ხატისოვი** (კუკიაში, ნიკოლოზოვის ქ. 7, ტელ. 715).
10, 11—12	**ა. ი. შჩერბინინისა** (დიდუბეში, საგურამოს ქ. 5. ტელეფ. 715)

გემების მიმოსვლა შავ ზღვაზე.

(ზამთარში).

რუსეთის საზოგადოებისა.

ბათომიდან გადის: ოდესისაკენ პირველი—საფოსტო-სახალხო გემი სამშაბათობით ღამის 1 საათს, ყველა ზღვის პირა ქალაქს გაივლის. მეორეც—ხუთშაბათობით, ღამის 1 საათს. პირ და პირ—სოხუმით, გაგრათი, სოჭით, ტუაფსეთი, ნოვოროსიისკით-ფეოდოსიით, იალტათი, სევასტოპოლითა და ევპატორიით შაბათობით, შუაღამეს.

სახალხო გემები ყველა ზღვის-პირა ქალაქებზე ორშაბათობით და სამშაბათობით ნაშუადღევის 2 საათს.

სახალხო-საქონლის გემები — ესენიც ყველა ქალაქისკენ გაევლიან ოთხშაბათობით და პარაკსეობით შუაღამეს.

ქალაქის საავადმყოფო

მთავარი—მუხრანის ქუჩა, 9.
ავლაბრისა—კახეთის ქ. № 15.
ხარფუხისა—ვორონცოვის ქ. 55.
კუკიისა—ჩერქეზიშვილისა, 1—1
დიდუბისა—საგურამოს ქ. 5.

ქალაქის საბჭოს ექიმები მოვალენი არიან ღარიბ მცხოვრებთ უფასო საექიმო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფის ბინაზედაც (ყოველმა თავ-თავის უბანში), თუ [illegible] ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვევს, ვალდებულია იმ დღესვე ინახულოს ავადმყოფი. გარდა საჭირო შემთხვევებისა, როცა დახმარება დაუყოვნებლივ უნდა მისცეს.

სასანიტარო ექიმები

უბნები: 1, 2—3 **პ. ფომინა-ოსიპოვა** (ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).

მე-4 და რუსის ბაზარში **ქრ. ლ. ლანთაროვი** (სოლოლაკი, ამაღლების. 8, 517).

5—6 **ი. მ. ზაბლუდოვსკი** (გრიბოედოვსკი, 10. ტელ, 645).

7—8 **გ. თ. ნათიშვილი** (ვორონცოვის ძეგლთან, მონუმენტის შესახვ. 5. ტელ. 48

10, 11—12 **ვ. ა. მირაქოვი** (მიხეილის ქ., 174 ტელ. 327).

სასურველია, თვითონ მცხოვრებლები დაგვეხმარებოდნენ სასანიტარო წესიერების შემოღებაში და სადაც-კი ამ მხრივ უწესობას შეჰნიშნავენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათ არღვევენ, ცუდს საჭმელ-სასმელს აკეთებენ და ჰყიდიან და სხ.—დაუყონებლივ ზემოდ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველგან შეუძლიან გარდასცეს ქალაქის სავაჭრო პოლიციის კანტორებში: ვერის მოედანზე, რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, კახეთის მოედანზე, ავლაბარში რიყის ქუჩაზე, 54, ელისაბედის ქუჩ. 5 და მალაკანის მოედანზე.

განცხადებანი

სამკურნალო
ექიმთა საზოგადოებისა
მუდმივის საწოლებით.
მიხეილის ქუჩა, № 59, მიხეილის საავადმყოფოს პირდაპირ, ტელეფონი № 1026.
იღებენ ავადმყოფთ:

ალაჯანოვი—საშარდე ორგანოთა, ათოშანგისა და კანის სნეულებისა—დილის 11—12 ს.

ვ. ვ. ვნუკოვი—ქირურგიულ სნეულ. ნაშუადღ. 1—2 საათამდე.

ეგიაზაროვი ი. ნ.—შინაგან, ნევრვებსა, სულით-ავადმყოფთ. ელექტროტერაპია დილის 11—12 საათამდე.

კიმონტი გ. პ.—ქირურგიულ სნეულ. დილის 11—12 საათამდე.

მაგაკიანი გ. ნ.—შინაგან სნეულებ. და ბავშვების ავადმყ. დილ. 11½—12½ სათ.

ა. დ. კალმიკოვისა-ვნუკოვისა—დედათა ავადმყ.—დილ. 11—12 ს. სამკურნალოში ელექტრონითა და მასაჟით სწამლობენ. მიკროსკოპიულ, ბაქტერიოლოგიურ და ქიმიურ გამოკვლევას ახდენენ. ყვავილს უცრიან. ძიძებს ამოწმებენ. რჩევის ფასი 50 კ. ოპერაციებისა და კონსულტაციების ფასი—მორიგებით. სამკურნალოს სტაციონალური განყოფილება შესდგება საზოგადო პალატისა და ცალკე ნომრებიდან.

წამლობა „606“-ით.
(100—1615—1).

სამშობიარო
თავშესაფარი
თუხარელისა,
გოლოვინის პროსპექტისა და გრიბოედოვის ქუჩის ქიმში, № 34, ფეოდოსიის ეკლესიის გასწვრივ. იღებენ ფეხმძიმე და მშობიარე ქალებს დღე და ღამ ყოველ დროს. ცალკე ნომრებიც არის ხელმისაწვდომ ფასებში და საზოგადოც. ორ-საწოლიანი ოთახი 2 მან. და მომშობიარებისათვის 6 მან. არის საზოგადო ოთახში ხელმისაწდომ ფასში, დღე-ღამეში 1 მან. იღებენ დედათა ავადმყოფობით სნეულთა და საბებიოს საქმისათვის. ძიძებსა და მოახლეებს ყოველ დღე, დილის 11—12 ს.-მდე ამოწმებს თავშესაფარის გამგე ექიმი მ. გ. მიკირტუმოვი.
(თ. 1646.9)

ნოტარიუსად ნამყოფი
კისრულობს: ხელშეკრულებისა, აქტებისა და სამედიატორო [illegible] ლებათა, ანდერძებისა, თხოვნებისა, განცხადებისა [illegible] საქმეებისათვის.
გასამრჯელო ზომიერია. იკითხეთ მწერავ-მანქანათა ბიუროში: სასახლის ქუჩა, სახლი ქ. თავად-აზნაუროზისა, თეატრის შესავლის გასწვრივ, № 33. (1—90—1)

ქ. თელავში
იყიდება პირველად გამოსული
ქართულ ენაზე
ჭრა-კერვის
◀ წიგნის ▶
თვით-მასწავლებელი, 128 ნახატი.
ახალი მეთოდი.
აქვს ნაწილად: ქართული, იმერული, ევროპიული ტანისამოსი და თეთრეული მანდილოსანთათვის და ბავშვთათვის! აგრეთვე ჟურნალების მოხმარება. შედგენილი და გამოცემული
სოფიო ი. სიმონოვის მიერ.
ფასი ყდით 3 მ., გაგზავნით 3 მ. 50 კ. ვინც ათ ცალს ანუ მეტსერთად დაიბარებს, ფოსტით გაგზავნის ფული არ გადახდება. გამოწერა შეიძლება ფასდადებითაც. ადრესი: Въ г. Телавъ „Школа кройки и шитья Софіи Іосифовны Симоновой. Бульв. пер. 2. собс. домъ (100—1140—96)



„ს.-პეტერბურგის საქიმიო ლაბორატორია“.
1890 წ. დაარსებული.
ოქროს მედალი პარიზისა 1900 წ.
„საპონი გაშლილი ია“
გლიცერინის საპონი „გაშლილი ია“ ახალმოგლეჯილი იას სუნის სრულ შთაბეჭდილებას სტოვებს: აქვს უხვად გამაგრილებელი ქაფი და კანსაც სინაზეს აძლევს.
მთავარი საწყობი: ტფილის., სააფთიაქო ქონლით მოვაჭრე კავკასიის ამხანაგობა,
(13— 293—7)

გამოცდილმა
მასწავლებელმა
ჩვეულებრივად წელსაც გააგრძელა მეცადინეობა მოსწავლე ქალ-ვაჟებთან. მიიღება პირობებით: გიმნაზიისთვის სხვა და სხვა კლასებისთვის, როგორც სავაჟო ისე საქალებოსთვის. სამასწავლებლო ხარისხებზე, საბებიო ინსტიტუტისთვის, სამხედრო და სატეხნიკო სასწავლებლისთვის.
არედვე გააგრძელებს მიღებას: სასულიერო სემინარიისთვის, გიმნაზიისთვის, რეალურ, სამხედრო და მიწის მზომელთა სასწავლებლისათვის, **სამოქალაქო და სატეხნიკო** სასწავლებლისათვის. ამზადებს ერთ ა ორ კლასიან **მასწავლებლობის ხარისხზე,** ყველა კლასის **ჩინისთვის.** ღებულობს **ანბანის უცოდინარ** ქალ-ვაჟებსაც. მეცადინეობა ჩვეულებრივად იქნება სამ ალაგს: 1) ვერაზე, 2) ვაგზალზე, 3) ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. მონაწილეობას იღებენ მასწავლებლები, მცოდნენი უცხო ენისა და სხვა და სხვა საგნებისა.
იღებს პირობებით. მეცადინეობა იწყება დილის 8 საათზე და გრძელდება საღამოს 8 საათამდე. მსურველ მოწაფეებს არა უფროსს 15 წლისა ღებულობს სრულ ხარჯზედაც **პანსიონში.**
მოლაპარაკება მასწავლებელთან შეიძლება ყოველ დღე, სამ შეივსებოდეს აღნიშნული რიცხვი მოწაფეებისა.
Адресъ: Семеновская ул., д. 23, Кв. 1. входъ съ подъѣзда, нижній звонокъ, спросить учителя.
А съ Елизаветинской ул. д. № 38. (недалеко отъ памятн. Воронцову).
(თ. 1084.66)

მოითხოვეთ საუკეთესო ხარისხის ქლანი
ტეხნო-ქიმიურ ამხ-სა
„ქიმიკოსი“
საწყობი და კანტორა: მალაკნის ქუჩა, № 16. (8.1058.1)

1912 წ. მიიღება ხელის მოწერა
დასურათებულ საყმაწვილო ჟურნალ
„ნაკადულ“-ზე
✦ წელიწადი მერვე. ✦
ჟურნალი გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით და საგანგებოდ არჩეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით, მონაწილეობას ღებულობენ ჩვენი ცნობილი მწერლები და პედაგოგები.
წლიურ ხელის მომწერლებს მიეცემათ;
24 წიგნი „ნაკადულისა“ მცირე წლოვანთათვის; 12 წიგნი „ნაკადულისა“ მოზრდილთათვის.
საჩუქრად მიეცემათ წლიურ ხელის მომწერლებს
დასურათებული 120-ზე მეტი ორიგინალური იგავ-არაკი ალ. მირიანაშვილისა.
ფასი ჟურნალისა; წლიურად ორივე გამოცემა 5 მან., ნახევარ წლით—3 მან. ცალ-ცალკე: მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი 3 მან. მოზრდილთათვის 12 წ. 3 მ. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილად.
ხელის მოწერა მიიღება **ტფილისში** „ნაკადულის“ რედაქციაში, გოლოვინის პროსპექტზე, ზუბალაშვილების სახ. Головинскій просп. д. № 8 და წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში. **ქუთაისში** სიდორე კვიცარიძესთან, თ. მთავრიშვილთან, მარიამ ყაუხჩიშვილთან და „ნაკადულის“ აგენტებთან; **სამტრედიაში**—ივანე გლადკოვთან, **ფოთში**—თეოფილ კანდელაკთან, **ბათომში**—კნ. სოფიო ნაკაშიძესთან და ტრაფიმ ინასარიძესთან **დ. ხონში**—ეკატერინე ვასილის ასულ ბახტაძესთან, **ოზურგეთში**—ლეო იმნესთან, **თელავში**—ვანო პაატაშვილთან, **ახალციხეში**—კონსტანტინე გვარაძესთან, **ბაქოში**—ვასილ აზვლედიანთან და ივანე ელიაშვილთან, **გორში** ნიკ. ლომაურთან და ქ-ნ ჯავახიშვილთან, **სოხუმში**—კნ. მარიამ ანჩაბაძესთან, **ჭიათურაში**—ივანე გოშელაურთან, **განჯაში** გ. ამბოქაძესთან და **ერევანში** კ. ციშარიასთან.
რედაქტორი **ნინო ნაკაშიძე.**
(წ.—1627—17 წ.) გამომცემელი **თავ. პავლე იოსების ძე თუმანიშვილი.**

ტფილისი, სტამბა „შრომა“ მუხრანის ქუჩა